ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 6 (1341) | 19-25 თებერვალი, 1993 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახსენებ პლატონს და ვგულისხმობ...

ჩვენი უცხოელი მოქალაქეების გაუკითხავი ძარცვა-რბევა ახალი ამბავი არ გახლავთ. საქართველოს პირველი რეჰაბილიკის არსებობის ეამიც ჩვენთვის ნაცნობი მოვლენებით იყო აღბეჭდილი. მაშინაც გაჭირვება, ანარქია და ეკონომიკური სიდუხჭირე სუფევდა, რაც ყველა დროში კეკბავს მტაცებლობას, ქურდობას, მპარაობას. მით უფრო, რომ იმჟამად ხელისუფლებას სოციალურ-დემოკრატები განაგებდნენ — მოქალაქეთა დატვრორება — ექსპროპრიაციაში მრავალნაცადი ხალხი.

რევაზ გაბაშვილი იგონებს: „ერთ დილას გავედი თუ არა გარეთ, ჩურჩულით „მახარეს“: წუხელ „ბარიატინსკის“ დაღმართზე გაუძარცვავთ სპარსელი პრინცი; ამოუცლიათ ძვირფასი „პორტხიგარი“, ფული, ბეჭდები, საათი და... კიდევ კარგი, სულიც არა, თორემ დიპლომატიურ ხათაბალაში ჩავარდებოდითო“.

თუმცა თბილისი დედაქალაქია, ასეთი ახალი ამბები, „ტამტამის“ სისწრაფით მოედება ხოლმე, როგორც ხოფელში. ამ ამბავმა აღელვება გამოიწვია უმაღლეს და უმდაბლეს წრეებშიაც, რადგან ყველამ იგრძნო, რომ სპარსეთის პრინცი უბრალო შეჩვეულ მოქალაქესავით, „შემამსუბუქებელ გარემოებას“ ვერ მიხვდებოდა მარტო იმიტომ, რომ მისი თითები და ჯიბეები შეამსუბუქეს და თუმცა ამ ამბავს მაშინვე ზედ მოჰყვა ხმებიც, ეს „პლატონ პაჩულიას ბიჭების საქმეა“-ო, თუ „ბეჭედი აზისო“, არ მახსოვს, სწორედ პლ.პაჩულიას დაეკალეს საქმის გამოძიება.

პლატონმა, გამოიძია კი არა, ორ დღეში დაიჭირა მძარცველები: მთელი ნაძარცვი არა მარტო დაუბრუნეს პრინცს, არამედ აბრასავით რჩევა-დარიგებაც მისცეს: ხომ იცით, რევოლუციაა არის, არეული დროა, თქვენ კი ღამე მარტოხელა დაიარებით, სჯობია, წაბრძანდეთ სპარსეთში, თორემ გარანტიას ვინ მოგცემთ, „პორტსიგართან“ ერთად, შემდეგ შემთხვევაში სულიც არ ამოგაცალონო?

რამდენადაც მახსოვს, პრინცმა დაიჯერა ასეთი „გაფრთხილება“ და საზღვრებამდეც პატივით მიაცილეს.

პლატონ პაჩულიას მადლობა და 50 000 მანეთი „პრემია“ მიართვა მთავრობამ ხწრაფი ერთგულებისათვის.

პრინცებს აღარავინ სძარცვავდა, რადგან აღარ იყვნენ და „ასკლებ ხახლიანებს“ საზღვრებამდე მიცილება ხომ არა ჭირდებოდათ, მაინც და მაინც ფეძრიდებოდნენ?

ახეც გრძელდებოდა და „მოცვლილმა ხალხმა“, არ ვიცი „შეარგისი“ ოპოზიციიდან თუ ხეკა ხარგო „ოპ-ლი-ზი-ციიდან“ ანუ ლტიც. კი ნოეგონა ჩვენი დროის პლატონებს:

ისხდნენ, თურმე, ინგლისის, საფრანგეთის და საქართველოს მაღალი კომისიები პოლიციისა ერთ დუქანში და გემრიელად მიირთმევდნენ სუკის მწვადებსა და კახურ ღვინოს.

ბუნებრივად ჩამოვარდნილა ლაპარაკი არაბუნებრივ ძარცვა-გლეჯა-მკვლელობაზედ. ფრანგს უთქვამს თავმოწონებით: საფრანგეთშიო, როგორიც უნდა დანაშაული მოხდეს, ორი კვირაც არ გაივლის, პოლიცია უსათუოდ აღმოაჩენს და დამნაშავე ისჯებაო.

ინგლისელს ასეთი ტრაბახი არ ეჭაშნიკა და უთქვამს: ეგ რა პოლიცია ყოფილა, ინგლისში ოცდაოთხი საათიც არ გაიელის — დამნაშავეს აღმოვაჩენთ ხოლმე და მერე სასამართლო ხჯისო.

პლატონს, ქართული წესით, ჯერ მათი და მათ სახელმწიფოთა

ისევ პოლიციის შესახებ

მაგიდაზე ჩემი მოადგილის თხოვნა-განცხადება მიდევს. მწერს— რედაქტორი კაცი ხარ და იქნებ მიშველო რამე. გასული წლის იანვარში ბინა გამიტეხეს, გამიძარცვეს, ზეწარი და ბალიშიც კი არ შემარჩინესო. ჩემი ხელფასით შაჰარი რომ ვიყიდო, ჩაის კოვზის შესაძენი ფულიც აღარ მრჩება, ლეიბ-ბალიშსა და ოქრო-ვერცხლს რომ თავი დავანებოთო.

ცხადია, შეეწუხდი,მაგრამ ავიჩეჩე მხრები და ვეუბნები— რომელი შერლოკ ჰოლმსი მე ვარ, ჩემო სერგო, რა ვქნა, რით გიშველო-მეთქი.

ჩაიკითხე ბოლომდეო,— თანაგრძნობით მეუბნება...

ვკითხულობ:

პოლიციამ შესაშური ოპერატიულობა გამოიჩინა და ის ჩემი ოჯახის დამაქცევარი ოჯახჩორები ერთ თვეში გასკვანჩა და ვირის აბანოში მიიბრძანაო.

შვებით ამოვისუნთქე.

— აბა რა გინდა, ძმაო. არ თქვა ახლა, ის ქურდები გამომახსნევინეო ციხიდან— ვეუბნები ცოტა არ იყოს, გაკვირვებული.

—ქურდები კაი ხანია სამზეოზე დადიან. საკანში შერეკილები, ამნისტიის წესით, ისევ გარეთ გამორეკესო.

ერთი სიტყვით, განცხადებითა და ჩვენი კითხვა-პასუხით დიდხანს რომ არ შეგაწყინო თავი, მკითხველო, საქმე ასე გახლავთ:

გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორის მოადგილე სერგო ჯანაშია გასული წლის იანვარში გაქურდეს. გასული წლის თებერვალში ქურდები დაიჭირეს. ამნისტიის შემდეგ კი მალევე გამოუშვეს.

ახლა ისევ თებერვალი დგდგა. გავიდა მთელი წელი. ქურდები ცნობილია, დამჭერები ცნობილია, მობარული ნივთების ბედი კი კვლავ უცნობი.

დამზარალებელი შეიწყალეს.

დაზარალებული ფეხებზე დაიკიდეს.

სიტუაციაში „ღრმად“ გარკვევის შემდეგ გამოსავალი მოვძებნე.

გეტყვი, სად არის მობარული ნივთები-მეთქი.

მოადგილეს ჯერ თვალები გაუბრწყინდა, თხრობა რომ დავიწყე, უცვლ შეშინებული სახე მიიღო, — ეს კაცი ხომ არ გადაირია, მე ჩემი გაჭირვება მაქვს და რა ისტორიული ლექციების კითხვა აუტყდაო.

1919 წელს — დავიწყე თხრობა, — ერთმა მამაძაღლმა მთელი ვაგონი ფქვილი გაიტაცა და გაყიდა. გამომძიებელმა ქურდი დაიჭირა, მაგრამ გაყიდული ფქვილის ასავალ-დასავალი ვეღარ გაიგო. ამ საქმეზე „დაკლადის“ გასაკეთებლად მაძებარი შედის პოლიციის უფროსთან და რას ხედავს, მობარული ფქვილიდან (ტომრებზე სახელმწიფო ნომრები იყო აღბეჭდილი) რამდენიმე ტომარა აგერ არ დევს, შედის კაბინეტში?

ჭაიდან გაჩნდა ეს ფქვილი აქაო — ეითხულობს გამომძიებელი. რა ვიცი, ვილაცამ შემომაჩუქაო — იყო პასუხი. (იხ. რ. გაბაშვილის „შეშუპარები“)

თუ რამეს მიხვდი, ჩემო სერგო, ჩაუდექი ამ საქმეს კვალში თუ არა და, მეტს ნუ მომაცდენ, მანქანა მყავს დიბლა წივწივაძის მანქანაზე მიბმული და უნდა გადავხედო, ხომ არ აუშვა ვინმემ...

სახელდახელო ჩანაწერები

ნოდარ გრიგალაშვილი

საფეხურეული დაულევია და სუკის გემრიელი ლუკმის გატანებასთან, — ამოუტანებია:

— ეგ არის თქვენი განათლებული, ნაქები ევროპაო: ორი კვირა, ოცდაოთხი საათი უნდებით დამნაშავის აღმოჩენასაო?

აქ, საქართველოში, მილიციამ ერთი კვირის წინათ ვიცით, სად რა დანაშაული მოხდებაო!

ზოგი ამბობს, ეითომ პაჩულიას ისიც დეამატებიოს, რომ ამისათვის „პრემიასაც“ მაძლევენ 50 000 მანეთსო“.

ამ მონათხრობის შემდეგ მკითხველმა ალბათ მარტივად შეავსო სათაურად გამოტანილ ფრაზაში სამი წერტილი.

ვახსენებ პლატონს და ვგულისხმობ დღევანდელ პოლიციელს, ვთქვათ, რომელიმე მელიტონს, არა?

არა, ბატონებო, საუბედუროდ ასე მარტივად აღარ არის საქმე. წავიდა ის დრო, როცა მხოლოდ პოლიციელმა პლატონმა, გინა თუ მელიტონმა, ორი კვირით ადრე იცოდა, ვინ და ვისგან გაიძარცვებოდა.

ეს ახლა ორი კვირით ადრე სხვადასხვა ჯურის ხალხმა, ითქმის ნახევარმა საქართველომ იცის...

ქვეყნის მეორე ნახევარი კი — დარბეული და გაქურდული ტელევიზიის საშუალებით იხილავენ — მპოვნელს ვთხოვთ, დაგვირეკოსო...

ამიტომაც მოვნატრა ხალხს პოლიციელი, ჯანდაბას ჩვენი თავი, დაიცვას წესრიგი მხოლოდ „პაჩულიამ“.

ის მაინც გვეცოდინება, რომელ „პპოვნელს“ მივაკითხოთ ხათანადო შემთხვევის დამს...

ვურთაზ აბაშიძის კარიკატურა

ნოდარ ნათაძე:
საქართველოს გადარჩენის ობიექტური შესაძლებლობა აქვს



— ბატონო ნოდარ, უნდა თუ არ უნდა დავდოთ ხელშეკრულება რუსეთთან?

— პრაქტიკულად ყველა ქართველი გეტყვით „ჰო“. ჭკვიანი დასძენს“ მაგრამ არა ყოველნაირი. უნდა დავდოთ მხოლოდ ისეთი ხელშეკრულება, რომელიც არ დააყენებს დარტყმის ქვეშ ჩვენს თაობათა ტანჯვით მოპოვებულ თავისუფლებას, არ ჩაგვაგდებს კიდევ ერთხელ ურჩხულის ხახაში, არ დააყენებს კვლავ საქართველოში სისხლისა და ცრემლის ოკეანეს, რომელსაც „ეერავითარ ომში გაღებული მსხვერპლი ვერ შეედრება თავისი მასშტაბით“. მაგრამ საქმე ის არაა, რას ფიქრობს ქართველი. საქმე ისაა, რას ფიქრობს რუსი. მოგეხსენებათ, დათზე სანადირო თუ წაბრძანდით, თქვენ თქვენი გეგმა გექნებათ ნადირობისა, დათვს კი, როცა დაგინახავთ ან თქვენს სუნს იცემს — თავისი გეგმა. დღეს საწარმოო-დაწესებულებებში თავყრილობები ტარდება რომელიც, ძალიან რბილად რომ ვილაპარაკოთ, შეგვიძლია ღია პარტიულ კრებებსა და კომკავშირის კრებებს შევადაროთ. ტარდება ლოზუნგით: „ურუსეთოდ ცხოვრება არ შეგვიძლია. რადაც არ უნდა დაგვიჯდეს. რუსეთთან მეგობრობის ხელშეკრულება უნდა დავდოთ“, რასაც მეტნაკლებად შეფარული ფორმით თან სდევს ასეთი გამოუთქმელი დანამატიც: „ზიზღი და სიძულვილი იმათ, ვინც რუსეთთან ხელშეკრულების წინააღმდეგია. მათ საქართველოს დალუპვა უნდათ“. ვინ არიან „ისინი“, ცხადია, არ ზუსტდება, ვინაიდან ასეთნი არ არსებობენ. მაგრამ მინიშნებით, გადაკვრით იმ კრების მონაწილეთა ყურადღება იმათკენ წარიმართება ხოლმე, ვინც პარლამენტში სახელმწიფოს მეთაურისაგან განსხვავებული პოზიციით გამოვა ხოლმე ხსენებული საკითხზე ან სხვებსაც, ვისაც თავისი სახელი და სახე განუყოფელად დაუკავშირებია ჩვენი საშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობის იდეასთან. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებშიც ანალოგიური კამპანია წარიდგება. პირდაპირ ვიტყვი — უხამსი კამპანია, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მაყურებლის ცნობიერებაზე ზემოქმედების ბერკეტად მას ამ უკანასკნელის არაინფორმირებულობა, გაჭირვება, მისი ხიცოცხლის და ქონების დაუცველობა აქვს.

ეს კამპანია აგებულია შემდეგ მოკლეფუნქცია ტყუილზე: თუმცა მართალია ის, რომ საქართველოს რუსეთთან ხელშეკრულება სჭირდება, არაა მართალი, რომ იგი რუსეთს სჭირდება. რუსეთს საქართველოსთან ხელშეკრულება არ სჭირდება და ამის მიზეზი იგივე გახლავთ, რომლის გამოც იგი საქართველოს სჭირდება. საქართველოსთან „ისეთი სახელმწიფოთაშორისი აქტის ხელმოწერითა და რატიფიკაციით, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობას და მის საზღვართა ხელშეუხებლობას აღიარებს. რუსეთი, იურიდიულად, ხელს იღებს დამპყრობლურ ზრახვებზე საქართველოს მიმართ. საქართველოს— იურიდიულ პლანში— ჰშორდება ის მავლავლუნა, რომელიც ორასი წლის წინ დაწყა და გასრისა თავისი წონით და რომლისგან განთავისუფლებაც ჩვენი ერის ათი თაობის სანუკვარი ოცნება იყო და არის. რუსეთს სქართველოსთან ხელშეკრულება უნდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულებაში ჩადებული იქნება, თუნდ ფარული სახით, რუსეთის მიერ საქართველოს კვლავ ხელთ მოგდების შესაძლებლობა ან პირდაპირ, ან არაპირდაპირ, პოლიტიკურ და სამხედრო ღონისძიებათა გრძელი კომბინაციის გზით. თუ რუსეთის და საქართველოს ურთიერთვალდებულებათა და უფლებათა მთელ სისტემას, რომელიც მათ შორის დადებულმა ხელშეკრულებამ უნდა დააფიქსიროს (ისევე,როგორც ნებისმიერი ორი სხვა ურთიერთვალდებულებებისას, ანალოგიურ ვითარებაში), თანმიმდევრულად დავალაგებთ მათი ხელსაყრელობა-არახელსაყრელობის მიხედვით, მათში იქნება რაღაცა მეტ-ნაკლებად მკაფიოდ გავლებული საზღვარი, რომლის ერთ მხარესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთობა დროთა განმავლობაში თანდათან განვითარდება სრული თავისუფლებისაკენ, მეორე მხარეს კი —სრული მონობისა და კოლონიალიზმისკენ. რუსეთს საქართველოსთან სწორედ „ისეთი ხელეკრულება უნდა, რომლის დადებითაც მისი უფლება და გავლენა საქართველოს მიმართ თანდათან გაიზრდება და, დასასრულ, ჩვენი ქვეყანა განუყოფლად მიებმება მათსას. თუ ხელშეკრულების ტექსტი ისეთი იქნა, რომელიც რუსეთის დიქტატს საქართველოსადმი თანდათან შეამცირებს, მაშინ რუსეთისთვის ასეთი ხელშეკრულება სასურველი აღარ იქნება და იგი ან ხელს არ მოაწერს, ან რატიფიკაციას არ გაუკეთებს მას. მოვიყვანთ ეჭნდებით. თუ გნებავთ, დავეთანხმები რუსოფილებს და ვაღიარებ, რომ რუსეთს მეორე გამოსავალი ურჩევნია (სახელდობრ, უნდა, რომ ხელშეკრულება მაინც დაიდოს). ის ხეირი ხომ მაინც ხელთ რჩება, რომ ხელშეკრულება პოლიტიკურად კაბალური იქნება და, დროთა მანძილზე, რუსეთის საქართველოში გაბატონებას გამოიწვევს!

— რომელია, თქვენის აზრით, მიუღებელი პუნქტები ხელშეკრულების ტექსტის დღესდღეობით არსებულ უკანასკნელ ვარიანტში?

— ჯერ ერთი, რუსეთის ჯარის ჩვენთან ყოფნა. თავდაპირველ ვარიანტში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ეს ჯარი აქ ჩვენი ინტერესებისთვის არის და მისი შენახვის ხარჯებს სანახევროდ ჩვენ ვიხდით. ეს პუნქტი მოსცილდა ტექსტს. მაგრამ ეს მთავარი არ არის. ჯარი ჩვენთან დგას და ხელშეკრულებაში ამგვარ პირობათა მხოლოდ ერთ მაგალითს. რუსეთს უნდა, მისი ჯარი საქართველოში 1995 წლის ბოლომდე დარჩეს, ხოლო მისი გასვლა დაიწყოს (კი არ დამთავრდეს, არამედ დაიწყოს!) მხოლოდ ამ ვადის შემდეგ, ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველო ექვსი თვით ადრე გააფრთხილებს მას, რომ ჯარი გაიყვანოს. ახლა ვიკითხოთ: განა ნაფელი არ არის, რომ იმ ექვს თვეს რუსეთი მოანდომებს საქართველოში ასალი შინაგანი არეულობის ორგანიზაციას, რათა ხელი აგვალებინოს ამ მოთხოვნაზე, რაც მას ადვილად შეეძლება მთელი იმ დროის მანძილზე, რაც მისი ჯარი საქართველოში იდგომება და, მაშასადამე, მისი „საგანგებო განყოფილებები“ და მისი ГÉ (არმიის მთავარი სადაზვერვო სამმართველო) თავისუფლად ინავარდებენ, თავისი მრავალათასიანი აგენტურითურთ, ჩვენს მიწა-წყალზე.

ამიტომაც მე მგონია, რომ რუსეთი ჯიუტად დაგვისვამს და დაგვისვამს ხელშეკრულების დადების ისეთ პირობებს, რომელსაც ჩვენ ან ვერ მივიღებთ (რითაც ხელმოწერა გადაიდება და გადაიდება), ან მივიღებთ ჩვენი უკიდურესი გაჭირვების გამო და ზემოხსენებული ვეშაპის სახაში აღმოჩნდებით ან იცხოვრებენ, არ იზღუდება მათი ოჯახის წევრებით), ასევე აკონტროლის რუსეთის ყველა მოქალაქის ბედი, სამსახურებრივი კეთილდღეობის ჩათვლით, რაც ნებადაც მათი ცხოვრების ეს მხარე სახელმწიფოთა ორმხრივი ხელშეკრულების თემად ქცეულა. ასევე, ხელშეკრულების თემადაა ქცეული ის, რომ ეროვნული უმცირესობები არ დაიჩაგრონ, რომ მათ მიეცეთ თავისუფალი განვითარების საშუალება და ა.შ. საქართველოში ეს ყველაფერი მუდამ სრულდებოდა, ჩვენი მთელი ისტორიის მანძილზე, და მუდამ შესრულდება. ამ მხრივ ჩვენთვის არაფერი პრობლემა არ არსებობს. დღეს ჩვენთვის სამისოდ მაოცებელი ფაქტორიც კი არსებობს, რამდენადაც ხელი გვაქვს მოწერილი ჰელსინკის დოკუმენტზე და მის მომდევნო საერთაშორისო დოკუმენტებზე, რომლებიც (ესეც ნუ დაგვავიწყდება!) ეროვნულ უმცირესობებს იმის მეხუთედ უფლებებსაც კი არ აძლევენ, რაც მოსახლეობის ამ კატეგორიას საქართველოში აქვს და ჰქონდა მუდამ. მაგრამ ამ ვალდებულების კვლავ განმორებისთვის რუსულ-ქართული ხელშეკრულების ტექსტში საკმარისი იყო იმის დეკლარირება პრეამბულაში, რომ ზემოხსენებული საერთაშორისო დოკუმენტების ერთგულნი ვართ. წარმოდგენილ ტექსტში საქმე სხვაგვარადაა დაყენებული. იქ ეს პუნქტები ტექსტში შედის, როგორც ურთიერთვალდებულება და, მაშასადამე, ურთიერთკონტროლის უფლება, რასაც საქართველო, ცხადია, ვერ გამოიყენებს (იგი თავის ჯარს რუსეთში ვერ შეიყვანს ვერანაირი შარის საფუძველზე), რუსეთი კი გამოიყენებს, როცა საჭიროდ ჩათვლის. „ზდგომარეობის მთელი აბსურდულობა რომ შეიცნოთ, წარმოიდგინეთ, რომ მე და თქვენ იურიდიულად გავაფორმეთ ურთიერთხელშეკრულება რაღაც ისეთ მოქმედებაზე, რომელსაც ბუნებრივად ვასრულებ ხელშეკრულების გარეშეც, მაგალითად, იმაზე, რომ დილაობით ჩაი დავლიოთ. თუ თქვენ ჩემზე ძლიერი ბრძანდებით, ეს გაძლევთ საბაბს, როცა ინებებთ, შარი მომდოთ, გუშინ ჩაი არ დაგილევიაო, და ჩემ მიმართ სანქციები განახორციელოთ ჩემ მიერ ხელშეკრულების დარღვევის საბაბით.

ერთ დღეში გაყვანას მხოლოდ ტექნიკური სიძნელეები და საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის მიერ სამხედრო ნაგებობებში დაბანდებული კაპიტალების დიდი მასშტაბი უშლის. საკითხავია ესეც: რისთვის სჭირდება დღეს რუსეთს ჯარი ამიერკავკასიაში, საიდანაც იგი, ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ, ხმელთაშუა ზღვამდე და ჩრდილოეთ აფრიკამდე სახმელეთო გზით გასვლას იმედოვნებდა? პასუხი ერთია: არაფრისთვის, გარდა იმისა, რომ საქართველო და. დანარჩენი ამიერკავკასია ხელთ ჰქონდეს. რუსის ჯარის ყოფნა ჩვენს მიწაზე სახიფათოა ჩვენი თავისუფლებისათვის.

მეორეც. დღეს არსებული ტექსტი რუსეთს ანიჭებს უფლებას, ამა თუ იმ ფორმით აკონტროლოს საქართველოში რუსი სამხედრო მომსახურეებისა და მათი ოჯახების ბედი აწ და მარადის (ამასთან, მათი ნათესაობა და შინაურები, რომლებიც მათ ოჯახში ცხოვრობენ ან იცხოვრებენ, არ იზღუდება მათი ოჯახის წევრებით), ასევე

მესამეც. წარმოდგენილ ტექსტი მხარეებს უფლებას აძლევს, ვაკონტროლოთ ჩვენ-ჩვენი მოქალაქეების ბედი მეორე მხარის ტერიტორიაზე, ამ კონტროლის წესის და მოქალაქეების უფლებების ყოველგვარი წინასწარი განსაზღვრის გარეშე, აგრეთვე საერთაშორისო მარეგულირებელი ინსტანციების გარეშე. თუ გავითვალისწინებთ, რომ ორი ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს, ტექსტის თანახმად, უფლება ეძლევა აირჩიოს, ვისი მოქალაქე იქნება (და შეუძლია ორივე ქვეყნის მოქალაქე იყოს ერთდროულად), ეს იმას ნიშნავს პრაქტიკულად, რომ რუსეთი ოფიციალურ კურატორად ევლინება საქართველოს მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელსაც არ ენდომება, საქართველო საქართველოდ მიიჩნიოს. რა პროცენტს შეადგენს ადამიანთა ეს კატეგორია, შეგიძლიათ თვითონ იანგარეშოთ.

ყველა დეტალზე აღარ მოგახსენებთ. მხოლოდ სათაურზე შეეჩერდები კიდევ. ცნობილია, რომ რუსეთი დღეს გამოუცხადებელ შეზღუდულ ომს ეწევა საქართველოს წინააღმდეგ. რუსეთის მოქალაქეები (სულ ცოტა, ხუთასი კაზაკი და, პრაქტიკულად, აურაცხელი ჩრდილოეთკავკასიელი), რუსული ტრანსპორტით და რუსეთის ტერიტორიიდან, აწარმოებს შეტევას ჩვენს მიწა-წყალზე და სოხუმ-ოჩამჩირეს ემუქრება. ამავე (ან ასეთივე) ძალების გადამწყვეტი მონაწილეობით აღებულ იქნა გაგრა-ლესელიძის ზონა, სადაც, ამავე ძალების მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე, დაჭერეტილ იქნა ათასზე მეტი ქართველი მოსახლე (გარდა სამხედრო მოსამსახურეებისა) და ხერეტა გრძელდება. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, რუსეთს წილი უდევს ქართველობის გენოციდში საქართველოს მიწაზე. თუ რა მოხდა და რა ხდება ცხინვალის ზონაში, ესეც კარგად მოგეხსენებათ. აფხაზეთში ფაქტ და ჩვენ წინააღმდეგ ფაქტ ძლიერ ფაქტორს წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის რეგულარული ჯარი რუსეთის დროშით (შესაძლოა, სხვ-სიც). ამ ვითარებაში რუსეთთან მეგობრობის აღიარება, შინაარსობრივად, აბსურდია. შეგახსენებთ პოლიტიკური ანბანის ერთ ასოსაც: საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 9 მარტს აღიარა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის ფაქტი. ჩვენს უმაღლეს ორგანოს ამის შემდეგ ეს აქტი არ გაუუქმებია, ხოლო რუსეთს იგი არ უცანია: ამგვარად, ჩვენ, იურიდიულად, ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციებზე ვდგავართ ჩვენი ქვეყნების ახლო წარსულის შეფასებისა და ინტერპრეტაციის საკითხში. ჩვენს „მეგობრობაზე“ ლაპარაკი ოფიციალურ დოკუმენტში ამ იურიდიული დაპირისპირების გადალახვამდე, ანუ ამ დაპირისპირებულობის მექანიკური უგულებელყოფა, ცოტა არ იყოს უცნაურად გამოიყურება. ალარ ვამბობ, კომიკურად — მეთქი, რადგან საცინრად საქმე არა გვაქვს.

საქმეს ორი მხარე აქვს: ღირსებისეული და პრაქტიკული.

ჯერ რაც შეეხება ეროვნულ ღირსებას. ღირსება, საერთოდ, ფუფუნებაა (ამაში შემიძლია დაეთანმოგრავალს, ვინც, სამწუხაროდ, ასე ფიქრობს), მაგრამ ისეთი ფუფუნებაა, რომლის გარეშეც გამართულად ცხოვრება არ შეუძლია არც პიროვნებას, არც ერს. საქმე ის გახლავთ, რომ საკუთარი თავის დაცვას საკუთარი თავის პატივისცემა სჭირდება, ხოლო საკუთარი თავის პატივისცემას — საკუთარ თავში ღირსების (ან, სულ ცოტა, სხვადასხვა კერძო ღირსებების) დანახვა, რომლითაც სხვაზე მაღლა თუ არა, დაბლა მაინც არ დგახართ. წინააღმდეგ შემთხვევაში სტიმული გაგიქრებათ (გარდა ცხოველური ინსტინქტისა), რომ თქვენს ღირსებასმოკლებულ თავს დიდად გაუფრთხილდეთ. ეს ფილოსოფიური ანთროპოლოგიის, ანუ ადამიანის ბუნებისა და სულიერ ცხოვრების მეცნიერული ცოდნის,

---

ეროვნული ტექსტი

ეროვნული ტექსტი ეროვნული ენაა, ეროვნული ენა ეროვნული ტექსტია. ეროვნული ენა ეროვნული ტექსტია, ეროვნული ტექსტი ეროვნული ენაა

ანბანი გახლავთ. სხვათა შორის, ღირსების უქონლობით, და არა დოლარების სიძვირით, არის განპირობებული ის ფაქტი, რომ მრავალმა ჩვენებურმა ქალმა სხეულით ვაჭრობას მიჰყო ხელი ჩვენს მეზობელ ქვეყანაში.

მეგობრობის ფიცი იმასთან, ვისაც წილი უდევს ჩვენს გენოციდში გუშინ და დღეს, არა მგონია, შეთავსებადი იყოს ან ეროვნულ, ან პიროვნულ ღირსებასთან. მაგრამ, ვიმეორებ, მე თანახმა ვარ, ამ შემთხვევაში ღირსება განვიხილოთ როგორც ფუფუნება და ამიტომ ამ თემას, ჩვენი საკითხის თვალსაზრისით, მეორე რიგის თემად ვთვლი.

ახლა რაც შეეხება პრაქტიკულ შედეგებს.

რუსეთის იარაღი, რომლითაც იგი გვაიძულებს, ჩვენთვის არახელსაყრელი ხელშეკრულება დავდოთ, არის სამხედრო მოქმედება ჩვენ წინააღმდეგ და ეკონომიკური ბლოკადა. შემაკავებელი ფაქტორი მისთვის ერთადერთია: ესაა მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი. როცა ჩვენ რუსეთთან „მეგობრობის“ ხელშეკრულებას ვდებთ, ან თუნდაც მხოლოდ მოლაპარაკებას ვაწარმოებთ ამგვარ ხელშეკრულებაზე, ამით რუსეთს ვპატიობთ ზემოხსენებულ აგრესიას და ვაღიარებთ, რომ აგრესორის მიმართ პრეტენზია არა გვაქვს. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ჩვენ ხელებს ვუხსნით მას ჩვენი მებრძოლების წინააღმდეგ ომის და ჩვენი მოსახლეობის წინააღმდეგ გენოციდის ესკალაცია-გაფართოებისათვის. ამით გასაგები ხდება, რატომაა რუსეთი დაინტერესებული მეგობრობის ხელშეკრულებაზე მოლაპარაკების გაგრძელებაში, რაც სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მას ამ მოლაპარაკების დაგვირგვინებაც, ანუ ხელშეკრულების დადებაც ჰსურს.

არსებითია შემდეგის გათვალისწინებაც: რუსეთს საქართველოსთან ორჯერ აქვს დარღვეული სახელმწიფო ხელშეკრულება. პირველი, 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი, ევროპელი სპეციალისტების(და არა მხოლოდ ქართველების) დასკვნით, არ შეიცავდა საქართველოს მიერ თავისი სუვერენიტეტის დათმობის წანამძღვრებს. რუსეთმა ეს ხელშეკრულება დაარღვია, სახელდობრ, საქართველოს ანექსია მოახდინა საერთაშორისო სამართლებრივი დასაბუთების გარეშე, ასე ვთქვათ, ფაქტის წინაშე დაყენების გზით (რუსეთის მეფის მანიფესტში „საბუთი“ ის იყო, ქართველებზე ეზრუნავთო). რაც შეეხება მეორე, 1920 წლის 7—12 მაისის ხელშეკრულებას, იგი შეიცავდა ისეთ მომენტს, რომელიც რუსეთის აგრესიისთვის ერთგვარ საბაბს (თუმცა სამართლებრივად გაუმართლებელ საბაბს) წარმოადგენდა, სახელდობრ, იმას, რომ ორი მხარის ხელშეკრულების თემად იყო ერთ-ერთი მხარის (კერძოდ, საქართველოს) შინაგანი პოლიტიკა, კერძოდ, საქართველოს პოლიტიკა ქართული კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მიმართ. ხელშეკრულება აკისრებდა საქართველოს ქართველი კომუნისტებისთვის ამა და ამ პირობების შექმნას. ამავე დროს, ხელშეკრულება არ შეიცავდა იმას, რაც დღეს აუცილებელია, პრაქტიკულად, ყველა ანალოგიური ხელშეკრულებისთვის, ქართულ რუსულისთვის კი აუცილებელი იყო მაშინაც, სახელდობრ, ერთმანეთის შინაგან საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის აღიარებას. ამან, ცხადია, პოლიტიკურად და უფლებრივად გააადვილა საქართველოში რუსული არმიის შემოსვლა „სახალხო აჯანყებისთვის“ მხარდაჭერის მიზნით.

ტექსტი, რომელსაც ახლა გვთავაზობენ, ერთმანეთის (ნამდვილად კი — საქართველოს) შინაგან საქმეებში ჩარევის რამდენამე შესაძლებლობას გულისხმობს. ამგვარად, არსებობს რამდენიმე შესაძლებლობა რუსეთის მიერ ხელშეკრულების დარღვევისა და საქართველოს ხელყოფისა გარკვეული საბაბით, უსაბაბო ხელყოფის შესაძლებლობაზეც რომ აღარაფერი ვთქვათ.

— თქვენი მსჯელობის მიხედვით გამოდის, რომ ხელშეკრულების დადება ჩვენი ინტერესი უფროა, ვიდრე რუსეთის. უფრო მეტიც, „მათ შეუძლიათ, ხელშეკრულების გარეშეც დაგვეშუქრონ?

— დიახ, ასეა.

— მაშინ როგორ გავიგოთ, რომ თქვენ ერთი იმ დეპუტატთაგანი ხართ, რომლებმაც მიზანშეწონილად სცანით რუსეთთან მოლაპარაკების შეწყვეტა და გადადება მანამდე, სანამ აფხაზეთიდან მათი ჯარი გავა?

— რუსებს არ უნდათ ჩვენთან ხელშეკრულება, თუ იგი მათი იმპერიული ზრახვებისთვის მომგებიანი და, მაშასადამე, ჩვენთვის საზარალო არ იქნება. მაგრამ მათ უნდათ მოლაპარაკება მეგობრობის ხელშეკრულებაზე, ვინაიდან მანამდე, სანამ ამ თემაზე მოალაპარაკება წარმოებს, მათ, ასე ვთქვათ, მსოფლიოს წინაშე ნამუსი მოწმენდილი აქვთ. რომელი პოლიტიკოსი, ჟურნალისტი ან ტელემაყურებელი დაიჯერებს, რომ საქართველო მეგობრობის ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებას აწარმოებს რუსეთთან იმ დროს, როცა რუსეთი, რუსისა და არარუსის ხელით, ჩვენს სისხლს ღვრის? როგორც ხედავთ, მომავალი ხელშეკრულების ამ სათაურზე ჩვენი (დეპუტატთა ერთი ჯგუფის) მსჯელობა ფუჭი არ ყოფილა. სათაურს,რომელიც რუსულ-ქართულ მოლაპარაკებაში ფიგურირებს, მნიშვნელობა ჰქონია.

— რა სათაური უნდა ჰქონდეს ხელშეკრულებას, თქვენის აზრით?

— ის, რაც პარლამენტის სესიას შევთავაზეთ: „ხელშეკრულება სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის პრინციპების შესახებ“, კორექტულად და კონკრეტულად.

— ცხადია, რომ პრობლემა უფრო ფართოა, ვიდრე ხელშეკრულების სათაურია. იგი უდიდეს სიფრთხილეს მოითხოვს ჩვენი მხრიდან.

— მართალი ბრძანდებით.

სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ნორმები კრძალავს:

ა) ერთი ქვეყნის მეორე ქვეყანაზე თავდასხმას

ბ) თავისი მოალაქეების (ასევე სხვების) შეშვებას თავისი ტერიტორიიდან მეორე ქვეყანასთან საომრად

გ) თავის ტერიტორიაზე მეორე ქვეყნის საწინააღმდეგოდ იარაღის და საბრძოლო მასალების გატარებას

დ) სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ამ უკანასკნელის ნების საწინააღმდეგოდ ჯარის ყოლას.

თუ, ღმერთმა ქნას, ჩვენსა და რუსეთს შორის დადო „სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის პრინციპთა ხელშეკრულება“, ამით რუსეთი ხელშეკრული იქნება, იურიდიულად, ჩვენთან ურთიერთობაში. ჩვენთან საომრად ხელგახსნილი იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში აღმოჩნდება: თუ ჩვენ, ჩვენივე სიბრიყვითა და სიბეცით, ბეწვის ოდენად მაინც დავასუსტეთ ის ყველაზე ძლიერი იარაღი, რომელიც დღეს მისი აგრესიის მოსაგერიებლად გვაქვს — ჩვენი იურიდიული დამოუკიდებლობა. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ეს მოხდება მაშინ, თუ ჩვენივე ნებით და ჩვენივე ხელმოწერით რუსეთს რაღაცა საბაბს და იურიდიულ უფლებას მივცემთ ჩვენს შინაგან საქმეებში ჩაერიოს და ჩვენი ქცევა ამოწმოს. იმ ტექსტში, რომელიც რუსულმა მხარემ შემოგვთავაზა მომავალი ხელშეკრულებისათვის, როგორც უკვე მოგახსენეთ, ასეთი საბაბი ბევრია.

— ბატონო ნოდარ, ახლა ყველაზე მწვავე საკითხი, რომელზეც თქვენ, მაპატიეთ, უცნაური პოზიცია მოგეწერებათ, ლაპარაკია, ცხადია, რუსეთთან ომის მდგომარეობის დაფიქსირების შესახებ. მიბრძანეთ თქვენი აზრი თავიდან ბოლომდე.

— რუსეთს ომს არავინ უცხადებს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ბევრად გაუადვილდებოდა მომავალი ეკლიანი გზა, 1921 წელს რუსეთის არმიას შემოჭრის შემდეგ რუსეთისათვის რომ საქართველოს ულტიმატუმი წამოეყენებინა შემდეგ კი ომი გამოეცხადებინა. მაშინ ვეღარავინ ილაპარაკებდა საქართველოს ნებაყოფლობით ყოფაზე საბჭოთა კავშირში. ახლა ვითარება სხვაა. ახლა ლაპარაკია იმაზე, რომ ოფიციალურად დავაფიქსიროთ რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედების წარმოების ფაქტი. ეს საჭიროა, ჯერ ერთი, მორალურად, რათა მებრძოლმა იცოდეს, რომ მსოფლიოს უკანასკნელსა და უძლიერეს იმპერიას ეომება და არა აფხაზ ხალხს. მეორეც, ეს საჭიროა იმიტომ, რომ ჩვენ არ გაგაჩნია სხვა რამ გზა, გარდა პოლიტიკურისა, რათა ოდნავ მაინც შევაჩეროთ რუსეთის შეიარაღებული ბრძოლა ჩვენს წინააღმდეგ და ჩვენი მეომრის სისხლი ოდნავ მაინც დავზოგოთ. ამ მეორე მოტივის წინააღმდეგ არსებობს გარკვეული კონტრარგუმენტი. სახელდობრ, გვეუბნებიან, რამდენიც გნებავთ აფიქსირეთ და ნოტები აგზავნეთ. ყურადღებას არავინ მოგაქცევთ, ისევე როგორც უყურადღებოდ დარჩა თავის დროზე ერთი გიგანტი ქვეყნის ასობით“სერიოზული გაფრთხილება“. აშშ-ის მიმართ. ეს არგუმენტი შესაძლოა სწორიც იყოს (თუმცა რუსეთს მსოფლიოს თვალში მაინცადამაინც არ არგებს სოხუმის დაბომბვით მოპოვებული აგრესორის სახელი). მაგრამ, მის იქით კიდევ რჩება მესამე, მთავარი მოტივი, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: თუ რუსმა და რუსის იარაღით აღჭურვილმა სხვა დაქირავებულმა მკვლელმა საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია მოახდინა და ეს ჩაითვალა საქართველოს სამხედრო დამარცხებად ჩვენსავით ავტოხთონურ მცირე ერთან ომში, ამით ჩვენი ეურიდიქციის აღდგენას ამ ტერიტორიებზე შემდგომში სერიოზული არასამხედრო დაბრკოლებები შეეხვდება. თუ, პირიქით, ეს ჩაითვლება იმად, რაც არის, სახელდობრ საქართველოს დროებით მარცხად რუსეთის იმპერიასთან ბრძოლაში, მაშინ ჩვენი პოზიცია ბევრად უფრო მომგებიანი იქნება. ახლა ვიკითხოთ:

— რა გაფუჭდება რუსეთის მხრიდან ჩვეხ წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაფიქსირებით? სრულებით არაფერი. ძალიან გულუბრყვილო უნდა იყო, რათა ფიქრობდე, რომ რუსეთის იმპერიას ჩვენს წინააღმდეგ სამოქმედოდ გაღიზიანება სჭირდება. ვერ ვეთანხმები მსჯელობას, რუსები გაღიზიანდებიან და უარესს გვიზამენო. პირიქით, მათი მოქმედება ჩვენი დაორგუნვის და ჩვენზე კლავ გაბატონების მიზნით მით უფრო ეფექტიანი იქნება, რაც უფრო მშვიდად და ანგარიშიანად იქნება ჩატარებული.

— რაში ხედავთ გამოსავალს?

— პასუხს ორ ნაწილად გაყოფ. ჯერ მოგახსენებთ ჩემს აზრს, არსებობს თუ არა საქართველოს გადარჩენის ობიექტური შესაძლებლობები. შემდეგ მოგახსენებთ, ვართ თუ არა ამ შესაძლებლობათა გამომაყენებელნი ჩვენ.

მე მიმაჩნია, რომ საქართველოს გადარჩენის ობიექტური შესაძლებლობა აქვს. ცალ-ცალკე მოგახსენებთ ეკონომიკაზე, სამხედრო საქმესა და პოლიტიკაზე.

ჯერ ერთი, საქართველო ღარიბი ქვეყანა კი არ არის, არამედ მხოლოდ ეკონომიკადაწგრეული ქვეყანაა. ჩვენი ეკონომიკის დაწგრეა ჩემ თვალში, ასევე სხვა ბევრის თვალში. ხელოვნური მოვლენაა (იგი ეკონომიკის ცუდი მართვითაა გამოწვეული). მაგრამ ამას დღეს მნიშვნელობა აღარა აქვს. გავთვალოთ ყველაზე მინიმალური ვარიანტი: საქართველოს აქვს 650 ათასი ჰა სახნავ-სათესი და ჰყავს დაახლოებით 5 მილიონი მაცხოვრებელი, რომელსაც შეუძლია — თუკი საწვავი არ შემოვიდა და საწარმოებმაც არ იმუშავებს — ეს ჰექტარები დაბაროს და გათოხნოს. ამგვარად, თუ სხვა არაფერი შეექმნით, მაგრამ მშადი და პური სწორად გავინაწილეთ, მოგვშიდება, მაგრამ შიმშილით არ დავიხოცებით. ეს — მინიმალური ვარიანტი. მაქსიმალური ის გახლავთ, რომ საქართველომ ნელ-ნელა, თანდათან საქმეში ჩაბას თავისი მაღალი ინტელექტუალური პოტენციალი (მაგალითად, თავისი კადრები ელექტრონიკის დარგში), თავისი ბუნებრივი რესურსები, თავისი სატრანზიტო-სატრანსპორტო მოხერხებული მდგომარეობა (რაკი ჩვენზე გადის ბუნებრივი სატრანსპორტო გზა ცენტრალური ევროპა-ცენტრალური აზია) და დღეს გამძღარი, ხოლო ხვალ — შეძლებული და მდიდარი ქვეყანა გახდეს. ამ ორ ვარიანტს — ნატურალური მეურნეობის ვარიანტსა და გამართული მეურნეობის ვარიანტს შორის თავსდება მთლიანად ჩვენი ეკონომიკური პერსპექტივა. შიმშილით სიკვდილი არც ერთში არ გველის, თუ დღევანდელზე უარესი შეცდომა ან ქვეყნის შეგნებული ღალატი არ ჩავიდინეთ. მაგალითად, თუ არ შევაყოვნეთ კვლავ მიწის დარიგება. აქ, მე მგონი, სადავო არაფერია. ამ ეკონომიკური ოპტიმიზმის წინააღმდეგ ერთადერთი სერიოზული არგუმენტი არსებობს: კი ბატონო, ვირჩინოთ თავი ერთ წელიწადს ნატურალური ან ნატურალურთან მიახლოებული მეურნეობით. მაგრამ ასეთი ეკონომიკით მაცხოვრებელი ქვეყანა როგორ შეძლებს თანამედროვე ომს? მართლაც, რა დაეუპირისპიროთ იმ არგუმენტს, რომ რუსეთის ბლოკადით გამოწვეული ეკონომიკური ნგრევა ჩვენ მოგვცემს საშუალებას, ომი ვაწარმოოთ? მაგრამ ახლა ვიკითხოთ: ის ფული,რასაც რუსული პოლიტიკის მომხრეები რუსეთისგან მოელიან, ის პროდუქტი, საწვავი და ა.შ., რაც ბლოკადის შემსუბუქების შემთხვევაში, რუსეთიდან ოფიციალურად მოვა, ომის საწარმოებელი პროდუქტი და მასალაა? ან ის იარაღი, რომელსაც რუსეთი ოფიციალური არხებით მოგვცემს, თუ მისი მორჩილი ვიქნებით, მის წინააღმდეგ ან მიხი ოსი და აფხაზი მოკავშირეების წინააღმდეგ ომის მოგების იარაღია? რა თქმა უნდა, არა! სანამ რუსეთი საჭიროდ ჩათვლის, ჩვენ წინააღმდეგ ომი განაგრძოს ოსის, აფხაზის ან ვინმე სხვის ხელით, იგი არასოდეს მოგვცემს იმდენ ფულს, იმდენ იარაღსა და იმდენ სურსათს, რომ ჩვენ მასთან ომის მოგება შევძლოთ. ამგვარად, საქართველოს შინაარსით ანტირუსული (და ფორმით ანტისეპარატისტული) თავდაცვა ვერ დაფინანსდება და მატერიალურად ვერ მომარაგდება რუსეთისეე არხებიდან და რუსეთისეე კეთილი ნებით. იგი დაფინანსდება და მომარაგდება ან ა)რუსეთის ადმინისტრაციულ-ამკრძალავი აპარატის გვერდის ავლით, მასში, ასე ვთქვათ, „ხვრელების“ მონახვით (ვთქვათ, რუსის ჯარისკაცისგან ვაზნის ყიდვით), ან ბ) რუსეთის მიმართ დიპლომატიური და სხვა სახის „ზეწოლით“, მაგალითად, ყოფილი სსრკ ქონების გაყოფის პრინციპზე დაყრდნობით, (როგორც ვთქვათ, დივიზიიის გადმოცემა), ან გ) სხვა, რუსეთისგან საერთოდ დამოუკიდებელი წყაროებით (მაგალითად, სხვა ქვეყნებიდან შემოტანით, საკუთარი წარმოებით და ა.შ.).

ზემოხსენებული ილუზია — თითქოს რუსეთის აგრესიის მოსაგერიებლად ჩვენ რუსეთისეე ფულის, პურის, იარაღისა და კეთილგანწყობის იმედად შეგვიძლია ვიყოთ და უნდა ვიყოთ — მე ფსიქოლოგიურად ბუნებრივი ილუზია, მაგრამ მაინც ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო ილუზია მგონია. რუსეთისგან კეთილი ნებით მიღებული ტანკი, ვაზნა, შაქარი ან ფული, გრძელვადიანი სტრატეგიის თუ მოკლევადიანი ტაქტიკის თვალსაზრისით, არასრულფასოვანი იარაღია. სრულფასოვანი, გამართული, მოუქვლებელი და ქმედითი იარაღი ჩვენს გამოუცხადებელ ომში რუსეთთან ჩვენ მხოლოდ ერთი გვაქვს: ესაა ჩვენი იურიდიული დამოუკიდებლობა. სწორედ ამიტომაა, რომ მას, როგორც იტყვიან, ერთი ბეწვი არ უნდა შეეშალოს და ძალა არ უნდა დაკარგოს. ამგვარად, თავდაცვის თემიდან (რომელსაც, ბუნებრივია, გაზეთში დიდად ვერ გაშლით) პოლიტიკურ თემაზე გადავდივართ. რუსეთს არ შეუძლია (მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრისა და სხვა პოლიტიკური მომენტების რიდით), გაშალოს თავისი საბრძოლო დროშები და ფართო ფრონტით შემოგვიტიოს. თუ ეს ქნა, რა თქმა უნდა, ვერ გაგუძლებთ. მას შეუძლია მხოლოდ ის შეზღუდული და გამოუცხადებელი ომი ჩვენს წინააღმდეგ, რასაც ახლა აწარმოებს, ვთქვათ, ორჯერ, ათჯერ (მაგრამ არა ასჯერ) უფრო დიდი მასშტაბით. ამგვარი ომის გაძლება ჩვენ შეგვიძლია (თუ ვივარგებთ) და უნდა შეგვეძლოს. გაგრის აღებას მტრის მიერ რამდენიმე საათის კი არა, სამი დღის მძიმე ბრძოლა რომ დასჭირებოდა, რუსეთი ამაზე ვერ წავიდოდა, ვინაიდან ამ ბრძოლაზე დაფიქსირებული იქნებოდა მსოფლიოს თვალი. ამგვარად. რუსეთის ანტიქარუთლი ომის მასშტაბს თავისი ზღვარი აქვს და ეს ზღვარი ჩვენი თავდაცვის პოტენციურ შესაძლებლობებზე უფრო დაბლა ძევს. თავდაცვისუნარიანობის ამ მასშტაბის ფონზე ჩვენ შეგვიძლია და ვალდებულნიც ვართ მთელი სიმძლავრით ავამუშაოთ ჩვენი ზემოხსენებული ერთადერთი სრულფასოვანი იარაღი — ჩვენი იურიდიული დამოუკიდებლობა და უფლება ჩვენს მიწა-წყალზე სხვის უკითხავად ყოფნისა. დიახ, ჩვენ შეგვიძლია და ვალდებულნიც ვართ — თუ დღეს რუსეთთან სამშვიდობო მოლაპარაკება ჩაგვივარდა — დავადასტუროთ მის მიერ ჩვენი ანექსიის (1921წ.) ფაქტი და მისი ჯარის სტატუსი, როგორც საოკუპაციო ჯარისა, და ოფიციალურად მოვითხოვოთ მისი ჯარის ახლავე გაყვანა, რაკი მის ყოფნას ვერავითარი იურიდიული საფუძველი ვერ მოეძებნება. შემდეგ კი ამ პოზიციის — და მხოლოდ ამ პოზიციის — ფონზე უნდა განვაახლოთ ან განვაგრძოთ მოლაპარაკება ჩვენ მოწინააღმდეგესთან. მოლაპარაკება დიაღაც საჭიროა და დიაღაც შესაძლებელია ყველასთან. მაგრამ მოლაპარკებას სჭირდება მტიცენება და იმ დაპირისპირებისათვის მზადყოფნა რომელიც ჩნდება მოლაპარაკების ჩაშლის შემთხვევაში. დღეს, თუ რუსეთთან ვერ მოვალაპარაკეთ, ჩვენ გველის ხანგრძლივი განსაცდელი, მაგრამ არა მორიგი დაპყრობა, როგორც 1921 წელს მოხდა. თუ შინაგანი დისციპლინა შევქმენით(რაც ხელისუფლების მოვალეობაა), ჩვენ ამ განსაცდელს გავუძლებთ. მით უფრო გავუძლებთ,რომ ამ დისციპლინაში შედის იმ რუსული სამხედრო აგენტურის (т+Ё და „საგანგებო განყოფილებები) მოქმედების აღკვეთა-შეზღუდვაც, რომელიც ჩვენში დღეს არსებული დივერსიული ძირგამომთხრელი საქმიანობის პირველი წყაროა. ხაზგასმით ვამბობ: ეს შეუძლია საშუალო ნიჭის მქონე, პატოსანსა და მორალურად სუფთა მთავრობას, და არა მხოლოდ გენიოსებისგან შემდგარს, როგორც მრავალნი ფიქრობენ. თუ მთავრობაში გენიოსები იქნებიან, ხომ კარგია. ეს ბედის საჩუქარია და ღმერთს ამისთვის მადლი უნდა შევწიროთ. მაგრამ თუ არ იქნებიან, სასოწარკვეთას არც მაშინ უნდა მივეცეთ. გამოგიტყდებით, როცა ვიჯექი სტუდენტების შეხვედრაზე ბ-ნ ე. შევარდნაძესთან და რამდენიმე სხვა პირთან — და არა მარტო იმ დღეს — ჩემთვის ვფიქრობდი, აი აქ, ამ დარბაზში აირჩევა-მეთქი. უკეთესი მთავრობა (საერთო ჯამში), ვიდრე დღეს გვყავს (რა თქმა უნდა თვითონ ბ-ნ ე. შევარდნაძის გამოკლებით), მოუხდავად იმისა, რომ ამ მთავრობაში ერთი-ორი ჩემის აზრით ძალიან მასშტაბური მუშაკიც ურევია. ვიმეორებ: დღეს ჩვენი გადარჩენის ობიექტური პირობები არსებობს და ჩვენი გადარჩენა შეუძლია საშუალო ნიჭის კეთილსინდისიერ ხელისუფლებასაც კი (მით უმეტეს, ამ დონის ზევით გამორჩეული პიროვნების დამატებით). რას ვაკეთებთ სინამდვილეში დღეს, რას ვერ ვაკეთებთ და რატომ ვერ ვაკეთებთ — ეს სხვა საკითხია, რომელიც ვითარების ახალ ანალიზს მოითხოვს.

ესაუბრა კობალიკლიკაძე

დასასრული შემდეგ ნომერში

პოლიტიკა და ზნეობა

ფასტანგ ერქომაიშვილი

რა არის პოლიტიკა?

პოლიტიკა ფართო აზრით მიეყენება ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროს, როდესაც ხორციელდება მისი მართვა. მაგალითად, ლაპარაკობენ ეკონომიკურ პოლიტიკაზე, საფინანსო პოლიტიკაზე, სოციალურ პოლიტიკაზე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„უფროსი ძმა“ მოგვენატრა?...

ოსტანკინოს ტელეარხი რომ არა, რა გვეშველებოდა ნეტავ? ჩვენზე „ფიქრსა“ და „ზრუნვაში“ უთენდებათ და უღამდებათ იმ მამაძაღლიშვილებს. დღე არა გავა თითქმის ისე, რომ რაღაც ახალი სიურპრიზი არ შემოგვთავაზონ და ამით არ „გაგვახარონ“ უზომოდ. ასე იყო პარასკევს, 12 თებერვლის საღამოსაც, როცა გვიჩვენეს სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „აჭარა“. ფილმი მრავალმხრივ იყო „საინტერესო“, მაგრამ ერთი მომენტი განსაკუთრებით, როცა რუსეთის პარლამენტის წევრმა, ჟურნალისტმა ალექსანდრე ტიხომიროვმა ბათუმის ერთერთ ქუჩაზე „შემთხვევით“ გამვლელებთან პატარა ბრიფინგი (უფრო ბლეფინგი!) გამართა. ურთიერთ მიკითხვ-მოკითხვის შემდეგ მასპინძლებმა (ამასთან არც თუ მთლად ქართველებმა) შეჰღაღადეს ა. ტიხომიროვს: „უფროსი ძმა“ მოგვენატრა, „უფროსი ძმა“ გვინდა-ა-ა...“

მოკლედ, იმ ჩვენმა სტუმარმა ასეულ მილიონობით ტელემაყურებლის თვალში მთლად გაამასხარავა ეს ჩვენი ქვეყნის სახელით მოლაპარაკენი. გაამასხარავა უპირველესად იმის ხაზგასმით, რომ დღეს, როცა ყოფილი სსრკ-ის თვით ყველაზე ჩამორჩენილ ხალხებსაც კი აღარ სჯერათ „უფროსი ძმის“ მოტანილი სიკეთისა, აგერ ჩვენთან, უძველესი ისტორიისა და კულტურის ხალხის მიწაზე მცხოვრებნი ყელგამოწეული ეხვეწებიან დეპუტატ ა. ტიხომიროვს: „ნამ ნუჟენ სტარში ბრატ“, თორემ სხვანაირად ცხოვრება ვერ წარმოგვიდგენიაო. მერე რა, რომ ა. ტიხომიროვსა და სხვა „უფროს ძმებს“ ისე აინტერესებთ მათი ბედი, როგორც ჩვენ კურილიის კუნძულების მოსავალი.

ვაი სირცხვილო! ასე რამ დააბრმავა და დააყრუა ეს ხალხი, ჭურში სხედან ეს კაი დედმამის შვილები, თუ რა? ნუთუ ჯერ კიდევ ვერ გაუგიათ, რომ ერებს შორის უფროს-უმცროსი ძმობა „წმინდა წყლის კომუნისტური ბლეფია და მას არაფერი აქვს საერთო სინამდვილესთან. ამას ხომ თვითონ რუსებიც აღიარებენ უკვე.

უნებლიედ გაგახსენდება ერთი ისტორია. როდესაც 1812 წელს ნაპოლეონი შემოიჭრა რუსეთში, ერთერთ სოფელში ის გლეხებს გასაუბრებია. ნაპოლეონს გლეხებისათვის უთქვამს, რომ დაუდგებოდათ უკეთესი ცხოვრება, როცა მეფე აღარ ეყოლებოდათ და აუხსნია უმეფო ქვეყანაში ცხოვრების სიკეთე. როცა ნაპოლეონი დარწმუნებულა იმაში, რომ გლეხებს გააგებინა ყველაფერი, სწორედ მაშინ უკითხავთ რუსის მუჟიკებს: „კი მაგრამ, ცარ-ბატუშკა ვინ უნდა იყოსო?“ ისე, როგორც ნაპოლეონისდროინდელ რუს მუჟიკებს ცარ-ბატუშკას გარეშე ქვეყანა ვერ წარმოედგინათ, ასევე ზოგიერთი ჩვენი თანამემამულის ცხოვრება აზრს კარგავს, თუკი „უფროსი ძმა“ გვერდით არ ეყოლება.

თუკი ვერ ელევი და აუცილებლად გინდა „უფროსი ძმა“, რაღა მაინცა და მაინც ისტორიითა და ასაკით უმცროსი გინდა გაიხადო უფროსად? ნუთუ იმდენი აღარ უნდა ვიცოდეთ, რომ „დიდი“ და „ბევრი“ სხვადასხვა შინაარსის შემცველი ცნებებია?

ჩვენი ბათუმელი ძმების აზრით — ქართველი ხალხი კი არაა წინააღმდეგი, ჰყავდეს „უფროსი ძმა,“ არამედ ეს ცალკეულთა აზრია („ეტო ნე ნაროდ“...) ისიც საკითხავია, თუ ვინ მისცა ამ გაურკვეველი ეროვნების ხალხს ასეთი ლაპარაკის უფლება ქართველებზე.

რახან ჩვენი თანამემამულეების „აზრებს“ მათი „უფროსი ძმის“ წარმომადგენელი — ა. ტიხომიროვი კვერს უკრავდა და მალიმალ უდასტურებდა „ლოგიჩნო!“ (ე.ი. სწორიაო), გამომდინარე აქედან, მართალნი ყოფილან ისინი. აბა „უფროსი ძმის“ წარმომადგენელი ტყუილს ხომ არ იტყოდა (უმცროსი მორჩილი ძმის თვალში — უფროსი ძმა და ტყუილი?!).

რაკი ჩვენი ბათუმელი თანამემამულენი მართალნი ყოფილან, დიდი უსამართლობა იქნებოდა, ქართველ ხალხს მხოლოდ ტელეეკრანიდან დაამახსოვრდეს მათი სახეები. იქნებ სრულად წარმოადგინონ თავიანთი თავი, რათა შთამომავლობას არ დაეკარგოს მათი სახელები. თუკი ისინი ინებებენ და სრულყოფილად გამოაგზავნიან მონაცემებს, ალბათ არც რედაქცია დარჩება ვალში და გამოაქვეყნებს მათ სახელებს, გვარებს, ვისი „ოვიჩები“ ბრძანდებიან, რა საქმიანობას ეწევიან, რომელ ეროვნებას მიეკუთვნებიან და ა.შ. და ა.შ.

ბოლოსდაბოლოს, ხალხმა ხომ უნდა იცოდეს, ვინ და რა ეროვნების ხალხი ლაპარაკობს ასე ხმამაღლა და ამაყად აჭარის სახელით.

ლევან ვაზნარელი

რას მოითხოვდა ლოგიკა?

ბოლო დროს ჩვენში ბევრი ლაპარაკია პრესის, საერთოდ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებაზე. იმართება ამ საკითხისადმი მიძღვნილი გამოკითხვები, დებატები...

როგორც წესი, ხშირად პრესის თავისუფლებაში, ხელისუფლების დიქტატისაგან მისი დამოუკიდებლობის ხარისხი მოიაზრება. რასაკვირველია, ამგვარი დამოუკიდებლობის გარეშე პრესის თავისუფლება არ არსებობს; მაგრამ არცთუ იშვიათად გვავიწყდება თავად „ჟურნალისტის ფაქტორი“, ის, თუ რამდენად პროფესიონალი, კომპეტენტურია ის და რაც არანაკლებ მთავარია, თვითონ რამდენადაა თავისუფალი შინაგანად, იმისაგან, რასაც შინაგან ცენზორს ვეძახით.

ამგვარი, ჟურნალისტური არათავისუფლების მომსწრენი გავხდით 13 თებერვალს საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა „ალიონის“ მაყურებლები.

ამ დღეებში ჩვენი საზოგადოების შეშფოთება გამოიწვია რუსეთის საინფორმაციო საშუალებათა მიერ გავრცელებულმა ხმებმა, აჭარაში საქართველოდან შეჭრა მზადდება, ამ შეჭრის მოსაგერიებლად ყველაფერს აკეთებენ აჭარის ხელმძღვანელები და იქ განლაგებული რუსეთის ჯარებიო.

როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე, ატყდა ერთი მითქმა-მოთქმა... აღელვებული საზოგადოება განმარტებას ელოდა...

და აი, 13 თებერვალს „ალიონის“ მსვლელობისას პროგრამის წამყვანები პირდაპირი ხაზით დაუკავშირდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, ბატონ ასლან აბაშიძეს.

აი, ახლა გავიგებთ თუ გავიგებთ, რა ხდებაო... — გაუხარდა მაყურებელს, მით უმეტეს, რომ ამინდის (პირდაპირი მნიშვნელობით) ამბის კითხვის შემდეგ ჟურნალისტმა ზემოაღნიშნული ხმების შესახებაც ჰკითხა.

„შემოჭრის საფრთხე ნამდვილად არსებობდა, მაგრამ ჩვენ ადეკვატური ზომები მივიღეთ“, — ბრძანა ბატონმა ა.აბაშიძემ.

რას მოითხოვდა ამგვარი „ახსნა-განმარტების“ შემდეგ ჟურნალისტური პროფესიონალიზმი, კომპეტენტურობა, „ჟურნალისტის თავისუფლება“? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უბრალოდ, საუბრის ლოგიკა?

რას და — ბევრს არაფერს, იმას, რასაც ბავშვიც კი იკითხავდა ამ დროს:

— რა შემოჭრაზეა ლაპარაკი, ბატონო ასლან? საიდან, ვისი შემოჭრის საფრთხე არსებობდა? რა ადეკვატური ზომები მიიღეთ? და ვინ „ჩვენ“ „მივიღეთ“?...

მაგრამ არა, რატომღაც არ დასვა ეს „ბავშვური“ კითხვები ჟურნალისტმა. სასწრაფოდ გადაუხადა მადლობა ბ-ნ ა. აბაშიძეს საუბრისათვის, გულთბილად დაემშვიდობა და ვალმოხდილი სხვა საკითხზე გადავიდა...

მაყურებელი?

მაყურებელი დარჩა, იმავე კი არა, კიდევ უფრო დიდ გაუგებრობაში, საგონებელში, ვიდრე ამ „პირდაპირ კავშირამდე“ იმყოფებოდა.

არადა, რა კარგი შანსი იყო, დაუსვამდი პატიოსნად ზემოაღნიშნულ კითხვებს აჭარის თავკაცს და „რაღაცას“ მაინც გაიგებდი, გაარკვევდი...

ყოველ შემთხვევაში, უფრო მეტს იმ „რაღაც ხმებზე“, ამ „პირდაპირ კავშირამდე“ რომ ველოდით...

(არადა, „ალიონში“ ამ დღესაც კიდევ ერთი სიუჟეტი მიეძღვნა პრესის თავისუფლების თემას...)

რასაკვირველია, გამორიცხავ, რომ ჩვენში არსებობს იმგვარი „ცხელი თავები“, რომლებშიც რაიმეგვარი „შეჭრის“ ფიქრები დაფუთფუთებენ, მაგრამ ამ „არმომხდარ ინციდენტთან“ დაკავშირებული თამაშის შინაარსი რომ გაშიფრვას საჭიროებს, აშკარაა...

ფელიქს კოჟიაშვილი

დიდთვალება ღვთაება ჰფარავდეთ

როცა სახალხო ფრონტმა აფხაზეთში მებრძოლი ჯარისკაცებისათვის თბილი ტანსაცმლისა და წინდების შეგროვება დაიწყო, ბავშვებიც გამოეხმაურნენ. თბილისის უნივერსიტეტში საკმაოდ გროვდება ასეთი ნივთები (ამ საქველმოქმედო საქმეს უნივერსიტეტში პროფ. ც. სჯანიძე ხელმძღვანელობს) და მერე სამხედრო ნაწილებს გადაეგზავნება.

თბილი წინდების შემოწირვა სოფელს უფრო შეუძლია, ამიტომაც ჩავედი მარტყოფში და ვთხოვე ჩემს ნათესავებს, მეგობრებსა და მეზობლებს, მასწავლებლებს, დაგვეხმარებოდნენ, იქნება რამდენიმე წყვილი წინდა მოექსოვათ და ჯარისკაცებისათვის გაეგზავნათ. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა (მანამდე მარტყოფის პირველ საშუალო სკოლას 26150 მანეთი გადაურიცხა თავდაცვის ფონდში), რაღაც ათიოდე დღეში სამოცდაათ წყვილზე მეტი წინდა გადმომცეს.

გულახდილად გითხრათ, აღფრთოვანებას ვეღარ ვმალავდი და თვალებშიც სიხარულის ცრემლები მომადგა, როცა ვნახე, მეორეკლასელი თითისტოლა გოგონები ჯარისკაცებისათვის თვითონვე რომ ქსოვდნენ წინდებს. ამ წინდებში პატარა ბარათები ჩაუწყვიათ, ზოგს კი მარტო გვარი და სახელი ჩაუწერია: „ძვირფასო ჯარისკაცებო, მე ძალიან მეცოდებით ამ ყინვაში რომ ომობთ, გიგზავნით თბილ წინდებს“ (თათია ბანეთიშვილი II კლ): „გისურვებთ კარგად ყოფნას, ჯანმრთელობას და გამარჯვებით დაბრუნებას ყველას, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი“ (ლელა ითაშვილი, II კლ.): „ამ წინდების ჩამცმელმა სულ თბილად იაროს...“ (მარინე ჭიკაიძე, IV კლ); „ვინც ამ წინდებს ჩაიცმევს, ვუსურვებ შინ მშვიდობით დაბრუნებას“ (ირმა ოშაყმაშვილი IV კლ.); „წერილი ჯარისკაცს. გისურვებ ჩვენი მტრის დამარცხებას... და უკან დაბრუნებას“ (დიმიტრი სახლთხუციშვილი, V კლ.); „ვინც ამ წინდებს ჩაიცმევს, ბედნიერად მოხმარდეს. ომში გამარჯვებას და სახლში დაბრუნებას გისურვებთ“, (შორენა იობაშვილი, VIII); მე გიგზავნით წინდებს, ჩაიცვი და, რაც მთავარია, ჯანმრთელობით გაცვითე, გისურვებთ მალე გამარჯვებით დაგემთავრებინოთ ბრძოლა და შინ მშვიდობით დაბრუნებულიყავით. მე მყავს 10 და 15 წლის ძმები და არ მინდა იმათაც ნახონ ომი“ (თეა სამჭკუაშვილი, IV კლ.)... ასეთი ბარათები აწყვია სხვა წინდებშიც. რა თქმა უნდა, ყველას ვერ გადმოვწერთ. ისე კი მინდა, ყველამ გაიცნოს დანარჩენი ბავშვებიც, ვინც თავიანთ პატარა გულთან მიიტანა სამშობლოს დიდი გასაჭირი. აი ისინიც: თამთა, ლია ბანეთიშვილები, ბონდო, ლაშა ბერჟუაშვილები, ნათია, დავით გაიხარაშვილები, გიორგი გოგოჩაშვილი, კახა დავითაძე, ნინო, ქეთევან, ირაკლი ეპიტაშვილები, ნიკო ელჩიევი, ლელა ზინდრიშვილი, მიხეილ თვალიაშვილი, ქეთევან ივანაშვილი, ირმა, ნიკოლოზ ითაშვილები, თეა, ირმა, დიმიტრი, თემურ იობაშვილები, ვალერი ლეკიშვილი, ლევან ლორიაშვილი, სოფიკო მათიაშვილი, ნინო მჭედლიშვილი, თეა ნიკოლიშვილი, ეკა, ზურაბ, გიორგი ოსიაშვილები, ვანო ორჯონიკიძე, ლია, ნათია, ნატო, თეა (ორნი არიან) ოშაყმაშვილები, ბაბულია, ნინო, მაია, ზეზვა სახლთხუციშვილები, გიორგი, თამარ ტაბლიაშვილები, დავით, ვასილ, ზურაბ შოშიაშვილები, მაკა ყურაშვილი, არჩილ ძამაშვილი, ია წინწალაშვილი...

ვუერთდები ამ ბავშვების ნატვრას და ჩვენს მებრძოლებს ვუსურვებ მალე გამარჯვებას. მშვიდობაში გაეცვითოთ ეს თბილი წინდები და, როგორც მარტყოფში იტყვიან, დიდთვალება ღვთაებამ თავისი მადლიანი კალთა გადააფაროთ.

უშანგ სახლთხუციშვილი

გაზეთ „საქართველოს“ რედაქციას

თქვენი გაზეთის ა.წ. 12—18 თებერვლის #5 გამოცემაში დაისტამბა მ. მახარაძის რეპლიკა „კვლავ ძველებურად?“, რომელიც ეხებოდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის გამგის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით დანიშვნას.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრა, ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტის დირექცია და ჰუმანიტარული საბჭო ვერ დაეთანხმება რეპლიკის ავტორს. რეალური ვითარება სულ სხვაგვარია, ვიდრე იგი რეპლიკის ავტორმა წარმოადგინა. სინამდვილეში კათედრის გამგის თანამდებობის სამი პრეტენდენტიდან ორი ასაკის გამო არ პასუხობდა საუნივერსიტეტო დებულებას. ამასთან კათედრის ყოფილი გამგე სწორედ ასაკის გამო, თავისი სურვილით გადადგა. კათედრის გამგის მოვალეობის შემსრულებელი გახდა მისი მოადგილე, რომელსაც მხარს უჭერს კათედრის თანამშრომელთა აბსოლუტური უმრავლესობა.

ასე რომ, ყველა ეთიკური და იურიდიული ნორმა დაცული იქნა. საქმის დეტალებში გასარკვევად მზად ვართ მივიღოთ ნებისმიერი დაინტერესებული პირი ან ჟურნალისტი.

იმედი გვაქვს, რედაქცია უყურადღებოდ არ დატოვებს ჩვენს წინადადებას და თქვენი კომპეტენტური გაზეთის ფურცლებზე სიმართლეს ამცნობს თავის მკითხველს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარული საბჭო, ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტი, ფილოსოფიის კათედრა

ბატონო ჯანსულ,

რამდენადაც ვიცნობ თქვენს პოლემიკურსა თუ ლიტერატურულ-პუბლიცისტურ წერილებს, ყოველთვის ცდილობთ მოერიდოთ შეურაცხმყოფელსა და უკადრის გამოთქმებს, სალანძღავი ეპითეტების დახვავება არ არის ნიშანდობლივი თქვენი სტილისათვის; გამოქვეყნებული გაქვთ არაერთი სადირექტივო სტატიაც, სადაც პოლემიკისა და კრიტიკის ეთიკის ნორმებია ჩამოყალიბებული... ეს ყოველივე თითქოს საწინდარი იყო იმისა, რომ წლების მანძილზე შეთვისებულ მანერას არასოდეს გადუხვევდით, მაგრამ რადგანაც ამ შემთხვევაში ასეთი მკვეთრი გადახვევა ამჯობინეთ, ეტყობა, თქვენს ამ პოლემიკურ სტატიას („უმადურობის შეხსენება", საქართველო, 1992, 20 ნოემბერი) გამორჩეულ მისიას აკისრებთ.

ამ სტატიაში, რომელიც ჩემი სამოგზაურო ნარკვევის („ორშოლტიანი მათრახი", საქართველო, 1992, 28 ოქტომბერი) საპასუხოდ დაიწერა, თქვენ კიდევ ერთხელ ცდილობთ დაგვარწმუნოთ, რომ გიორგი საკაძე განსაკუთრებული მოვლენაა საქართველოს ისტორიაში, როგორც ეროვნული ენერგიის სრული განსახიერება. ის კი არა, თქვენი უზომო სიყვარული მისტიკურ თაყვანებაში გადაიზრდება, რადგანაც მისი უკვდავი სულის მოვლინებას თურმე კვლავაც მოელით: „გიორგი საკაძის პიროვნება... ყოველი ყოფნა-არყოფნის ჟამს დასჭირდება ქართველ ერს, რადგან ეს გიორგი საკაძის ფენომენს ძალუძს ყოფნა-არყოფნის სიტუაციაში მარტყოფის გადახდა!"

როცა ასე ხართ განმსჭვალული, რასაკვირველია, ვერ მოითმენდით ჩემს ნარკვევში გამოთქმულ მოსაზრებებს, რომ: გიორგი საკაძე არ არის და არც შეიძლება იყოს ეროვნული გმირი, იგი ტრაგიკული, გაორებული პიროვნებაა, ვისც — უდავო დამსსურებებთან ერთად — არაერთი უმძიმესი ცოდვაც აქვს ბადენილი თქვენს ერის წინაშე, რადგან პირადი განდიდებისათვის არაფერს დაზოგავს, თვით ყიზილბაშთა და ოსმალთა ძალის გამოყენებას.

ოღონდ თქვენი გულისწყრომა ისე გადაცდა კრიტიკული განსჯის, ლიტერატურული საუბრის ფარგლებს, რომ 30—50-იანი წლების უანდარმული კრიტიკის ნიშუშებს დაემგვანა.

ეს მაშინ მოითხოვდნენ განსხვავებული აზრის აღკვეთას ხალხის სახელით; და კიდეც აღწევდნენ მიზანს.

ტონი იმგვარივე შეგირჩეიათ:

„როსტომ ჩხეიძე არავის და არაფერს არ უწევს ანგარიშს. არც სხვათა მოსაზრებებს, არც ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს, არც არგუმენტებს, არც დიდ მწერლებსა და მეცნიერებს, არც ხალხსა და არც ქვეყანას".

ან კიდევ:

„როსტომ ჩხეიძე არც უფიქრდება, როგორ აყენებს შეურაცხყოფას ასე იოლად. ერთი ხელის აქნევით, თვით ქართველ ხალხს".

ეს მაინც რამ დაგაწერინათ!..

ამ უმძიმესი ბრალდების ფონზე ფერმკრთალდება ყველა ის შეურაცხმყოფელი ეპითეტი, რაც ასე გულუხვად გამოიმეტეთ.

ნეტა როდის დაგრთოთ ნება ქართველმა ერმა, რომ მისი სახელით გელაპარაკათ?! რა მოტივით, ანდა რა დამსახურებისათვის?..

ასეა თუ ისე, თქვენდა საბწუხარდ, ხელისუფლება იმგვარად აღარ ერევა ლიტერატურულ ცხოვრებაში.

ინგლისსა და საფრანგეთში დღემდე გრძელდება პოლემიკა კრომველისა და რობესპიერის (ვინც გაცილებით დიდი ფიგურები იყვნენ, ვიდრე საკაძეა) ირგვლივ. პოლემიკა ცხარეც არის, უშელავათოც და, თუმც ვერა და ვერ შეთანხმებულან მათი მოღვაწეობის შეფასებაში, არცერთ მხარეს აზრად არ მოსდის, ხალხის სახელით დასდოს ბრალი მოპირისპირეს. მათთვის უცნობია საბჭოური კრიტიკის ეს და სხვა მეთოდები.

ჩემს სამოგზაურო ნარკვევში, რომლის დაწერის იდეაც ჰალების დილეგის დათვალიერებისას გამიჩნდა, მეცნიერული თვალსაზრისით, სიახლე არაფერია, ისევე, როგორც თქვენს მონოგრაფიაში „გიორგი საკაძის პირდვნება", რომელსაც ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ, სინამდვილეში კი წარმოადგენს ორიოდე ადრეული ნაშრომის ვრცელ პუბლიცისტურ კომენტარებს, ერთგვარად ბელეტრიზებულს რადგან აშკარად გასდევს მითოსურ-ალეგორიული ფონი.

ისე ახსენებთ მეცნიერულ დასაბუთებასა და მეცნიერული მეთოდის დაცვას, თითქოს ცხოვრება სამეცნიერო ძიებებში გაგეტარებინოთ. პუბლიცისტიკა და მეცნიერება სრულად სხვადასხვა დარგებია და ერთმანეთში ნული აურევთ.

თქვენი გიორგი საკაძე ალეგორიული, აბსტრაქტული სახეა, დაშორებული რეალურ ისტორიულ პიროვნებას: ასეა მონოგრაფიაშიც და ასეა ამ საპოლემიკო წერილშიც. ამიტომ ბუნებრივია, რომ თქვენს მიერ წარმოსახული სურათი არ შეიძლება პირუთვნელი იყოს. და ასეთ დროს არალიტერატურულ ხერხთა მთელს არსენალს თუ არ მიმართავდით, წარმოუდგენელია გიორგი საკაძის დაცვის ილუზია შეგექმნათ.

თუმც ილუზიების გაფანტვა მაინცადამაინც საძნელო არასოდეს ყოფილა.

თქვენ აქეთ მომაწერთ ილუზიის შექმნას და, „მკითხველთა ერთ ნაწილს", ვისაც შესაძლოა „მოსწონებოდა", რომ ვიცი საკაძის სახელთან დაკავშირებული ამბები და მოვლენები, დაბეჯითებით არწმუნებთ: „სინამდვილეში, აშკარაა, მან არ იცის XVII საუკუნის საქართველოს ისტორია".

ადრე, როცა ერთმა მოპაექრემ თქვენი მისამართით შენიშნა, ამოსავალი მცდარი აქვსო, განაწყენდით: ვისი ამოსავალია მცდარი და ვისი სწორი, ეს მკითხველმა უნდა განსაჯოს ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებათა შეჯერებისას, მოკამათეებს ამის თქმის უფლება არა გვაქვს, რადგან ამით პოლემიკის წმინდათაწმინდა კანონი ირღვევაო.

თუ ეს წმინდათაწმინდა კანონი ამ შემთხვევაში აღარ მოგაგონდათ, ნეტა ის მაინც გაგახსენებდათ, რომ საკაძის ბიოგრაფია — ქრონიკების მიხედვით — არამცთუ მთელს XVII საუკუნეს არ გადაწვდება, არამედ მისი ერთი მცირე ნაწილია — 1609—1629, და აქედანაც უმეტესი წლები ირანსა და ოსმალეთში გაატარა. ამიტომ იქნებ ჯობდა ეს ფრაზა ამგვარად შეგეწორებინათ: „მან არ იცის 1609 — 12, 14—16, 19—22 და 25 წლების საქართველოს ისტორია". მაშინ ჩემი არცოდნის ფარგლებიც საგრძნობლად შეიკეცებოდა და თქვენც ასე ძალიან აღარ შესცოდავდით იმ წმინდათაწმინდა კანონს.

ასეა თუ ისე, ფრაზის ამგვარი რედაქციაც არ უნდა მისპობდეს კასაციის უფლებას.

რაკიღა საბჭოური კრიტიკა არ იწყნარებდა გარკვეულ პიროვნებათა მიმართ განსხვავებულ აზრს, მის გაჩენას ერთადერთი მოტივით ხსნიდა: პირადი მტობით.

ამ ხერხს თქვენც იმეორებთ და ამტკიცებთ, თითქოს ჩემი ნარკვევი გიორგი საკაძის პირადი მტრების შთამომავალთა განწყობილებას გამოხატავდეს, აგრეთვე, იმ მწერლებისას, ვინც მეტ-ნაკლებად ეხმიანება ამ განწყობილებას.

რა ყოფილან ეს პირადი მტრები, არც სიცოცხლეში მოასვენეს და შთამომავალთაც გენეტიკურად ისეთი სიძულვილი შთაუნერგეს, საუკუნეებმაც ვერ დააცხრო ეს გახელება... ნეტა სხვებს მაინც არ ითრევდნენ სიძულვილის ამ ნაკადში... ისე კი საინტერესოა, თუკი ყველაფერი ცხადია (შავით თეთრზე წერიაო — როგორც თქვენ გვარწმუნებთ) და დიდი მოურავის ბიოგრაფიაში არაფერია დასაძრახი და სამარცხვინო, რანაირად ახერხებენ, რომ სახელი გაუტეხონ კაცს, ვინც თურმე ეროვნული ენერგიის სრულ განსხვეულებას წარმოადგენს?!

ნეტა ქეთევან წამებულს არა ჰყავდა პირადი მტრები? ან ბიძინა ჩოლოყაშვილს, ან შალვა და ელიზბარ ერისთავებს, ან ცხა ძმა ხერხეულიძეს?.. ნეტა მათ მტრებს თუ დარჩათ შთამომავლები და, რას უცდიან, დღეს მაინც გაასწორონ ოთხი საუკუნის წინანდელი(!) ანგარიშები.

დიდი მოურავი პირადი მტრების შთამომავალთაგან მხოლოდ ზოგადად ახსენებთ XVIII საუკუნის ბაგრატიონთა დინასტიის ზოგიერთ წარმომადგენელს და სახელდებით იხსენიებთ ივანე ჯავახიშვილს, რომლის ხსენებაც ძალიან არ გაძლევდათ ხელს (აკი წიგნში გაკვრითაც არსად შეგინიშნავთ, რომ ჩვენს დიდებულ ისტორიკოსს არ უყვარდა გიორგი საკაძე), მაგრამ იძულებული შეიქენით, რადგანაც ჩემს ნარკვევში საგანგებოდ გავიხსენე ის ვითარება, რომ ივანე ჯავახიშვილს სტალინურმა რეჟიმმა (როცა საბოლოოდ დამკვიდრდა საკაძის კულტი) არ დაანება პირუთვნელად წარმოესახა დიდი მოურავის შეულამაზებელი პორტრეტი, გამოემეურნინა მისი სამხედრო მოღვაწეობის მეორე — სავალალო — მხარე.

თქვენ წერთ, „...იქნებოდა კი დიდი მეცნიერი მართალი, თუკი მხოლოდ ავს ილაპარაკებდა..." ივანე ჯავახიშვილი მხოლოდ ავს რატომ ილაპარაკებდა, როგორც პირუთვნელი მკვლევარი, ყოველმხრივ გამოიძიებდა საკაძის ცხოვრებისეულ მოვლენებს და არც დამსახურებას დაუკარგავდა და არც უმძიმეს ცოდვებს მიაყრუებდა.

ვალერიან გაბაშვილის (იმეამად ივანე ჯავახიშვილის ასპირანტის და შემდგომ გამოჩენილი ისტორიკოსის) ის ცნობა, ჩვენს დიდებულ მკვლევარს პირადი საუბრის დროსაც კი თავი რომ აურიდებია საკაძის შეფასებისაგან, „ვერც კარგს ვიტყვი, ვერც ავსაო", ნათლად მეტყველებს, რაოდენ სახიფათო იყო ხელისუფლების მიერ გმირად შერაცხულ კაცზე საწინააღმდეგო აზრის გამოთქმა, იმ ხელისუფლებისა, ვინც განზრახ ჩქმალავდა ჩვენს ნამდვილ გმირებს და გვიყალბებდა ისტორიას, რათა ამ სიცრუეს დამკვიდრებითაც ჩაეკლა ეროვნული სული.

ვ. გაბაშვილის ის ცნობა დავიმოწმე მისი მოგონებიდან („მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია", 1976 №3, გვ.165). თუ შეიძლება თქვენც მიუთითეთ, საიდან იმოწმებთ სიტყვებს, თითქოს ივანე ჯავახიშვილს იონა ვაკელისა და კოლაუ ნადირაძისთვის ეთქვას, „თუ საკაძე არა, ახლა ჩვენ ამ სუფრასთან არ ვისხდებოდით, სადღაც ფერეიდანში დავიბადებოდით, ან სულაც არ გავჩნდებოდით ამ ქვეყანაზეო".

თქვენ თვითონვე რომ გეკეროდეთ, მაშინ იმ ვარაუდებს ხომ არ განავითარებდით, თითქოს დიდი მეცნიერი იმან შებორკა, რომ პირდაპირი შთამომავალი იყო ქაიხოსრო ჯავახიშვილისა, ვინც თავის დროზე უმტრო გიორგი საკაძეს („პაპის პაპის ძველების ამოყრა დასჭირდებოდა საფლავთან და იქნებ ამიტომ შეზერდა ივანე ჯავახიშვილი...").

თქვენვე გრძნობთ, როგორ შეურაცხყოფთ დიდ მკვლევარს და რაღაც ბოდიშისმაგვარს თხზავთ...

როსტომ ჩხეიძე

ვინც არ არის კახაბერი...

(ღია წერილი ჯანსულ ღვინჯილიას)

თხოვს ლიტერატურის მიმოხილვას, კვლევის ისტორიის შეხსენებას, არგუმენტების დახვავებას... არც ვიყავი მოვალე და ზედმეტიც იყო, ათასჯერ გადაღეჭილი ცნობები თუ თალსაზრისები კიდევ ერთხელ დეტალურად განმეხილა. მოვიხმე მხოლოდ ზოგიერთი ის შეხედულება თუ დაკვირვება, რაც სრული სიახლეა, ანდა მაინადამაინც არ ტრიალებდა ლიტერატურულ ან სამეცნიერო მიმოქცევაში. უმთავრესად ვეყრდნობოდი თამაზ ნატროშვილის ისტორიულ ნარკვევებს. ყოველმხრივი დასაბუთებანი და მტკიცებანი იქაა, მე მხოლოდ გამოვიყენე რამდენიმე დასკვნა და ცნობა... ასე რომ, ჩემს მიმართ გამოთქმული თქვენი გულისწყრომა („რატომ არ ვიკვლევთ ფრთხილად, რატომ ასე ზერელედ, ასე ჟოლად, ასე დაუფიქრებლად წამოვიძახებთ აუგს, წამოვკრავთ ხელს, მივაფუჩეჩებთ, ან წაგუყრუებთ...") თ. ნატროშვილს უფრო ეხება, თუმც სრულიად უსამართლოდ: ვინც მისი ნარკვევების ამ ციკლს იცნობს, შეუძლებელია არ დამეთანხმოს, რომ სწორედ იდეალური სიფრთხილითაა გამოძიებული და წარმოსახული დიდი მოურავის მოღვაწეობის არსი. არ არის დავიწყებული გიორგი საკაძის არცერთი ღირსება და დამსახურება, უშურველადაა გამეტებული ქების ეპითეტები, მაგრამ — საბჭოური საკაძეოლოგიისაგან განსხვავებით — დაუფარავადაა გამჟღავნებული მისი მანკიერი თვისებანიც და ავკაცობანიც. და ეს შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ უმკაცრესი ცენზურა მოიხსნა და აღარ იკრძალებოდა პირუთვნელი განსჯა.

ამ ცნობათა სანდოობის უარყოფა, ამ დასკვნების დარღვევა რომ შესაძლებელი იყოს, სწორედ ამას მოიმოქმედებდით, თქვენ კი გვერდი აუარეთ და ისეთ რეალიებზე გადაიტანეთ მსჯელობა, რაც სადავო არავის გაუხდია.

„ყველაფრისთვის არ გამიცია პასუხი. ცოდვაა გაზეთიო", — რომ წერთ, ვითომ მართლა გაზეთი შეიბრალეთ? თუ ასე გეცოდებოდათ, ათასჯერ გადაღეჭილი ცნობების ათასმეერთედ მოხმობაზე შეგეკავებინათ თავი.

თუმც არ გამტყუნებთ: სხვაგვარად გიორგი საკაძის დაცვის ილუზიას ვერ შექმნიდით.

არაერთგზის რომ იმოწმებთ იმ ქართველსა და უცხოელ ისტორიკოსებს, ვისაც საქებარი სიტყვა უთქვამთ საკაძეზე, განა ვინმემ უარყო, რომ დიდი მოურავი იყო საუკეთესო მთავარსარდალი, უშიშარი, ძალგულოვანი მებრძოლი, მტკიცე ნებისყოფის, ძლიერი პიროვნება, თვით ირანსა და ოსმალეთში რომ მოახერხა ალიარება? — ჩემს ნარკვევს ამიტომაც გასდევს დიდი გულისტკივილი, რომ ასეთი ღირსებების პიროვნება, ვინც სასახელო ბრძოლები გადაიხადა საქართველოსთვისაც, მხოლოდ ტრაგიკულ ფიგურად რჩება და ვერ ამაღლდა ეროვნულ გმირობამდე.

ნარკვევში საკამათოდ არ მიქცევია თავისთავად ძლიერ საეჭვო გარემოება მარტყოფის ომისა დაწყებისა: საკაძემ ხელთ რომ იგდო შაჰ-აბასის საიდუმლო ბარათი, რომელიც მის მოკვლას ავალებდა ყარჩიღა-ხანს, ამიტომ ხხვა რა დარჩენოდა ყიზილბაშთა ლაშქარში მყოფს — თავის გადახარჩენად ომის დროშა უნდა აეღო ალიანსებისა; არაფერი მითქამს მის აქტიურ მონაწილეობაზეც ყიზილბაშთა მიერ ქართველ-კახეთის აოხრებაში 1614—16 წლებში...

მთავარი სადავო ხხვა მჭრნდა: რა ამოძრავებდა გიორგი საკაძეს თავისი მღელვარე და დაუცხრომელი ცხოვრების გზაზე — საქართველოს გაერთიანების იდეა, როგორც გაბატონებული აზრი გვარწმუნებს, თუ პატივმოყვარეობის, განდიდების, შურისგების ეინი?

ქრისტიანულ რწმენას რომ უდალატა, რისთვის უდალატა, ყიზილბაშებს ორჯერ რომ შემოუძღვა საქართველოში, რისთვის შემოუძღვა, ბაზალეთის ძმათამკვლელ ომში თურქები რომ დაიხმარა, რეხთვის დაიხმარა, ოსმალეთიდან საქართველოში ლაშქრობა რომ განეზრახა, რეხთვის განეზრახა? — საქართველოს მთლიანობის აღსადგენად თუ ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად?

თუმც ეს ყოველივე უაღრესად მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს და ძნელი გასამართლებელია, მაგრამ შეწყნარებით იმ შემთხვევაში შეიძლება შეწყნარება, თუკი ხხვა არავითარი გამოსავალი არა ჩანდა და ქვეყნის გადარჩენა მისგან ასეთი ცოდვების ჩადენას მოითხოვდა.

ნარკვევში გამოვთქვი მკვეთრი შეხედულება, რომ: გიორგი საკაძეს არ ამოძრავებდა საქართველოს გაერთიანების იდეა და მეფისა და დიდებულთა წინააღმდეგ ბრძოლა იყო მხოლოდდამხოლოდ კანონიერი ხელისუფლების უზურპაციის მცდელობა. კიდევ უარეს: ძლივს შეკონწიწებული ქართლ-კახეთის სამეფოს დაშლაც კი მოინდომა, რაკიღა თეიმურაზ პირველი თავის მორჩილებაში ვერ მოიქცია. ეს პატარა ერთიანობაც — იმ დიდ მიზანთან შედარებით — პატივმოყვარულ წადილს უმსხვერპლა.

ესაა ჩემი ნარკვევის ბირთვი და, წესით და კანონით, პასუხი — თუკი ეს შესაძლებელია — ამაზე უნდა გაგეცათ: სათანადო საბუთების მოშველიებით დაგემტკიცებინათ, რომ საკაძე საქართველოს გაერთიანებას ისახავდა და ბაზალეთში მისი გამარჯვება ამის მომასწავებელი იქნებოდა.

თქვენ კი ძალიან იოლად აფუჩეჩებთ ამ გადამწყვეტ ვითარებას: „საქართველოს სამი სამეფოს გაერთიანებას ისახავდა მიზნად ბაზალეთი. ცნობებით არის ეს დადასტურებული". ეს არის და ეს თქვენი არგუმენტირებული დასაბუთება, რომ თურმე რომელიღაც ცნობებით ყოფილა დადასტურებული ამ იდეის არსებობა... თითქოს მოვალე არ იყავით, დაგეზუსტებინათ, რა ცნობებს გულისხმობთ.

ხომ ასე უდავო ჭეშმარიტებასავით იმეორებთ ამ აზრს, მაგრამ იქვე უნებლიედ წაგცდებათ: „თუნდაც ასე არ იყოს..." თუკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვერათ იმ ცნობებისა, ასე რატომ არ უნდა იყოს, ხოლო თუკი თვითონვე არ გვერათ, ნეტა ვის თვალის ახვევას ცდილობთ?

არადა, ნამდვილად არ არის ასე.

არ არსებობს არავითარი ცნობა და არც მოვლენათა განვითარება ადასტურებს, თითქოს გიორგი საკაძე საქართველოს გაერთიანებას ეწწრაფვოდა.

ეს პირწმინდა გამონაგონია და შეთხზა ანტონ ფურცელაძემ ხალხსონური ინტერესებით, ხოლო მას მერე, რაც სტალინმა ფარზე აზიდა ეს გამონაგონი, ბუნებრივია, საბჭოურმა საკაძეოლოგიამ დეკლარაციულად, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე დასახა ურყევ ჭეშმარიტებად. ანკი საბუთები საიდან მოეტანათ?! საერთოდაც, საბჭოური ისტორიოგრაფია საკაძის ფენომენის შეფასებისას არ გასცილებია ანტონ ფურცელაძის დებულებებსა და თვალსაზრისებს, ოღონდ ვეღარ გაიმეორა ფურცელაძის წიგნის ერთადერთი ღირსება — მიუხედავად უაღრესი ტენდენციურობისა, ის ენობრივად მაინც კარგი ქართულითაა დაწერილი.

ხოლო რაც მართლა დასტურდება საბუთებითაც და მოვლენათა განვითარებითაც, ესაა:

მარტყოფის ავაზანყების შედეგად გაერთიანებული ქართლ-კახეთის ტახტზე თეიმურაზი რომ გაურთხა მეფედ, გიორგი საკაძემ მისგან ფარულად გაბა დიპლომატიური ურთიერთობა ოსმალეთთან და მათგან მიიღო საგანგებო რაყამი, რომელიც მას ქართლის გამგებლად სცნობდა.

უფლება რომ განემტკიცებინა, ჩაიდინა უპრეცედენტო რამ: ფულიც მოჭრა თავის სახელზე, თითქოს მეფე ყოფილიყოს.

ასე მოამზადა ამბოხება მეფის კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ და დიწყო დაშლა გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფოსი ოსმალთა მხარდაჭერით.

განა ვერ, მარტო ამის მერე შეიძლება მტკიცება, თითქოს საკაძე საქართველოს გაერთიანებას ეწწრაფოდა? ... არამცოუ ეს იდეა არ ამოძრავებს, სწორედ პირიქით: მისი ხელით დატრიალდება საბედისწერო მოვლენები.

რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ ქართლი მას, როგორც უსუსტატორს, გამგებლად არ იგუებდა, გარკვეული შენიღბვისათვის გადაწყვიტა იმერეთიდან უფლისწულის ჩამოყვანა და მისი გამეფება — გარეგნულად ალექსანდრე იქნებოდა გამგებელი, რეალურად საკაძე (როგორც ერთდროს ლუარსაბ II ჰყავდა ხელში ჩაგდებული)... თვითონ რომ მიიჩნევდა თავს ქართლის სრულუფლებიან ბატონ-პატრონად, ამიტომაც გამოიწვია ორთაბრძოლაში თეიმურაზ I — თითქოს ტოლ-სწორნი ყოფილიყვნენ.

ასე ჩაითრია იმერლები ძმათაშორის ომში.

ისედაც დაქსაქსული სამეფოები ერომანეთს გადაჰკიდა და დაუპირისპირა და თურმე ეს ყოფილა საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლა.

ასე რომ, ამაო გარჯაა, თითქოს საკაძე ქვეყნის პროგრესულ ძალებს მოთავეობდა — განსხვავებით კრომველისა და რობერსპიერისაგან, იგი არავითარ იდეას არ ეფარებოდა (ჯერ ამოფარება რა არის!) და გაშიშვლებულ უზურპატორად წარმოგვიდგება.

რაკიღა გადაფასდა ლუმპენპროლეტარული და საბჭოური წარმოდგენები მეფობის ინსტიტუტზე, მისი ძალადობით დამხობა პროგრესად აღარ მიიჩნევა.

სწორია მხოლოდ მეფობის ის შეფასება, რაც კონსტანტინე გამსახურდიამ ასე ჩამოაყალიბა: „გადაუჭარბებლად ითქმის: საქართველოს თვით უნიათო მეფეებიც, ყოველ საუკუნეში უფრო მართებულ საქმეს აკეთებდნენ, ვიდრე უჭკვიანესი და გაიძვერა, მსტოვარი ფეოდალები. ასე რომ, თეიმურაზი და ლუარსაბი იყვნენ ამ ფაქტების ფონზე ნამდვილი ნაციონალური გმირები და არა კონდოტიერი საკაძე“. რაოდენ საგულისხმოა, რომ ამ შეხედულების თვალსაჩინო ნიმუშად სწორედ თეიმურაზ-ლუარსაბისა და საკაძის მოღვაწეობაა შეპირისპირებული.

ისიც ნიშანდობლივია, რომ როგორც უახლესმა ისტორიულმა ძიებებმა გაარკვია, საქართველოს იმჟამინდელი ყოფისათვის არაფრისდიდებით არ იყო გამართლებული ოსმალური ორიენტაცია, რა გზასაც დაადგა საკაძე. ეს შეხედულება საგანგებოდ დავიმოწმე ნარკვევში, მაგრამ თქვენ — გასაგებ მიზეზთა გამო —ამასაც ისევე აუარეთ გვერდი დუმილით, როგორც საკაძის დაუჭკეველ სწრაფვას ძალაუფლებისაკენ.

საკაძე პატიმოყვარედ რომ მოვიხსენიე, ისეთი გაოცებული აღშფოთებით კითხულობთ: „საიდან!“ — თითქოს კანონიერი ხელისუფლების უზურპაცია კეთილშობილებისა და თავმდაბლობის გამოხატულება ყოფილიყოს ოდესმე. თურმე არც მეფისათვის თავის გატოლებაა პატივმოყვარეობა, არც ქვეყნის საგარეო კურსის განსაზღვრის მცდელობა, არც ფულის მოჭრა საკუთარ სახელზე...

„ვისაც მინდა დავიმოწმებ, ვისაც მინდა — არა, ვისაც მინდა წარმოვაჩენ, ვისაც მინდა — არა, რასაც მინდა მივაფუჩეჩებ, რასაც მინდა გამოვაბრწყინებ!..“ — მართალია, ამ სიტყვებს სულ სხვა მიზნით წერთ, მაგრამ ისე კარგად მიესადაგება თქვენი წიგნისა და ამ სტატიის პათოსს, უკეთესი შეფასების პოვნა სახელდახელოდ ძნელია.

წიგნში ესეც არსად გიხსენებიათ, მინიშნებითაც კი, რომ ლუარსაბ II —ის მკვლელობაში გიორგი საკაძეს ედებოდა ბრალი. მისი წაქეზებით დაღვარა შაჰ-აბასმა სისხლი მეფისა, ვინც ქართულმა ეკლესიამ და ერმა წმინდა მოწამედ შერაცხა. ხოლო მოწამის სისხლში გარევა ისეთი მძიმე ბრალდებაა, რანაირად შეიძლებოდა საკაძისადმი მიძღვნილ წიგნში ამაზე არაფერი თქმულიყო?! ანდა ისე ბუნდოვნად და იოლად განგაჯათ, როგორც ამ სტატიაში იქცევით: „გიორგი საკაძეს კი არ აქვს ლუარსაბ მეფის სისხლში ხელი გახვრილი, ლუარსაბ მეფემ გატეხა ფიცი, გაშორდა საკაძის დას, დაარღვია კანონიწმინდა სახარებისა... მოსაკვდინებლად მიუგდო საკაძე შეთქმულ დიდგვაროვნებს და რა დიდი მოურავის ბრალია, თუკი მან შეხძლო, თავი დაეღწია. მეფე ლუარსაბს ხომ ჰქონდა უკვე მის სისხლში ხელი გახვრილი? ეს რატომ გვაეწყდება, რატომ არის ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი განწყობილება, ვიდრე ჭეშმარიტება?“

—ამ მსჯელობის მიხედვით, თქვენს მიერ დადგენილი ჭეშმარიტება ისაა, რომ ლუარსაბ II თურმე მოსაკლავი ყოფილა. თქვენ, როგორც პუბლიცისტი, სანქციას აძლევთ მის მკვლელობას. ეს პროლეტკულტელ პუბლიცისტებს ეიოლებოდათ მეფეებისათვის განაჩენის გამოტანა, მაგრამ ნუთუ დღესაც იგივე უნდა გრძელდებოდეს?

ვისაც სისხლი არ დაუღვრია, მას სწამებთ — მეფე ლუარსაბს ხომ ჰქონდა უკვე მის სისხლში ხელი გასვრილიო, ხოლო ვინც დიდო ეს ცოდვა, გინდათ როგორმე ჩამორეცხოთ — გიორგი საკაძეს კი არ აქვს ლუარსაბ მეფის სისხლში ხელი გასვრილიო...

ნამდვილად აქვს, ჩემო ბატონო ჯანსულ, ამას განწყობილება კი არა, ჭეშმარიტება ღაღადებს. მაშინ ეს არ დაფარულა („ქვეყანამ იცის, შენ იყავ მისის სისხლისა მღვრელია“ — მიმართავს თეიმურაზი საკაძეს იოსებ ტფილელის პოემაში), ჩვენს დროში კი თ. ნატროშვილმა მეცნიერული ძიებით გაარკვია საკაძის ბრალეულობა. თუკი თქვენ მის მტკიცებას არ იზიარებთ, საპირისპირო საბუთები უნდა მოიტანოთ, ასე სასხვათაშორისოდ კი არ უნდა მოიცილოთ თავიდან ეს ტრაგიკული და საქართველოს ისტორიაში დაუვიწყარი ეპიზოდი.

განა შეიძლება მკვლელი და მოკლული — მითუმეტეს, წმინდანად შერაცხული — ერთნაირად ძვირფასი იყოს ხალხისათვის? არც არის, თუ ძალადობით არ მოახვიეს თავზე.

ასე გადაწყვიტეს მეფე ლუარსაბის ბედი გიორგი საკაძემ და შაჰ-აბასმა — როგორი ალიანსია!

ლუარსაბ II-ის მოწამებრივი აღსასრულის მიზეზი ის იყო, რომ შაჰ-აბასმა ვერ გადაიბირა და ვერ გააყიდვინა ეროვნული ინტერესები.

თუკი ლუარსაბი შაჰს დაემორჩილებოდა, საკაძის ინტრიგები ველარაფერს დააკლებდა, ის კი არა, ერთად გამოუძღვებოდნენ ყიზილბაშთა ლაშქარს საქართველოსკენ.

განა ძნელი მისახვედრია, თუ რა შხამს აწვეთებდა გიორგი საკაძე შაჰს, ლუარსაბის სისხლის დასაღვრელად რომ აქეზებდა?! ალბათ არწმუნებდა, ვიდრე ლუარსაბი ცოცხალია, ქართლს ვერ დაიპყრობო.

ნურავინ იუარებს: იქნებ ეს არ უთქვამსო.

აბა, სხვა რა მოტივით წააქეზებდა?!

დიდი მოურავის ამ ყოვლად მდაბალ საქციელს რომ ამართლებთ, იმას მაინც რატომ არ ითვალისწინებთ, რომ მეფის მოკვლა ქართლისათვის — და მთელი ჩვენი ქვეყნისათვის — ლახვრის ჩაცემას უდრიდა მორალურადაც და კიდევ უფრო ართულებდა ისედაც არეულ ყოფას, აღვივებდა ახალ შფოთსა და მძაფრ წინააღმდეგობებს, რადგან უმემკვიდრეოდ გადაგებული მეფის ტახტი ცარიელი ხომ ვერ დარჩებოდა.

მაგრამ საკაძისათვის ქვეყნის ინტერესები ამ შემთხვევაშიც არაფერს ნიშნავდა, მთავარია პირადი წყენა არ შეერჩინა. თანაც გზა გაიწმინდა ტახტისაკენ.

თუ ასე არ არის, მაშ რატომ წააქეზა შაჰ-აბასი?

„ამ შემთხვევაშიც“ იმიტომ ისე ბუნდოვნად და იოლად განგაჯათ, როგორც ამ სტატიაში იქცევით: „გიორგი საკაძეს კი არ აქვს ლუარსაბ მეფის სისხლში ხელი გახვრილი, ლუარსაბ მეფემ გატეხა ფიცი, გაშორდა საკაძის დას, დაარღვია კანონიწმინდა სახარებისა... მოსაკვდინებლად მიუგდო საკაძე შეთქმულ დიდგვაროვნებს და რა დიდი მოურავის ბრალია, თუკი მან შეხძლო, თავი დაეღწია. მეფე ლუარსაბს ხომ ჰქონდა უკვე მის სისხლში ხელი გასვრილი? ეს რატომ გვაეწყდება, რატომ არის ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი განწყობილება, ვიდრე ჭეშმარიტება?“

—ამ მსჯელობის მიხედვით, თქვენს მიერ დადგენილი ჭეშმარიტება ისაა, რომ ლუარსაბ II თურმე მოსაკლავი ყოფილა. თქვენ, როგორც პუბლიცისტი, სანქციას აძლევთ მის მკვლელობას. ეს პროლეტკულტელ პუბლიცისტებს ეიოლებოდათ მეფეებისათვის განაჩენის გამოტანა, მაგრამ ნუთუ დღესაც იგივე უნდა გრძელდებოდეს?

ვისაც სისხლი არ დაუღვრია, მას სწამებთ — მეფე ლუარსაბს ხომ ჰქონდა უკვე მის სისხლში ხელი გასვრილიო, ხოლო ვინც დიდო ეს ცოდვა, გინდათ როგორმე ჩამორეცხოთ — გიორგი საკაძეს კი არ აქვს ლუარსაბ მეფის სისხლში ხელი გასვრილიო...

ნამდვილად აქვს, ჩემო ბატონო ჯანსულ, ამას განწყობილება კი არა, ჭეშმარიტება ღაღადებს. მაშინ ეს არ დაფარულა („ქვეყანამ იცის, შენ იყავ მისის სისხლისა მღვრელია“ — მიმართავს თეიმურაზი საკაძეს იოსებ ტფილელის პოემაში), ჩვენს დროში კი თ. ნატროშვილმა მეცნიერული ძიებით გაარკვია საკაძის ბრალეულობა. თუკი თქვენ მის მტკიცებას არ იზიარებთ, საპირისპირო საბუთები უნდა მოიტანოთ, ასე სასხვათაშორისოდ კი არ უნდა მოიცილოთ თავიდან ეს ტრაგიკული და საქართველოს ისტორიაში დაუვიწყარი ეპიზოდი.

განა შეიძლება მკვლელი და მოკლული — მითუმეტეს, წმინდანად შერაცხული — ერთნაირად ძვირფასი იყოს ხალხისათვის? არც არის, თუ ძალადობით არ მოახვიეს თავზე.

ასე გადაწყვიტეს მეფე ლუარსაბის ბედი გიორგი საკაძემ და შაჰ-აბასმა — როგორი ალიანსია!

ლუარსაბ II-ის მოწამებრივი აღსასრულის მიზეზი ის იყო, რომ შაჰ-აბასმა ვერ გადაიბირა და ვერ გააყიდვინა ეროვნული ინტერესები.

თუკი ლუარსაბი შაჰს დაემორჩილებოდა, საკაძის ინტრიგები ველარაფერს დააკლებდა, ის კი არა, ერთად გამოუძღვებოდნენ ყიზილბაშთა ლაშქარს საქართველოსკენ.

განა ძნელი მისახვედრია, თუ რა შხამს აწვეთებდა გიორგი საკაძე შაჰს, ლუარსაბის სისხლის დასაღვრელად რომ აქეზებდა?! ალბათ არწმუნებდა, ვიდრე ლუარსაბი ცოცხალია, ქართლს ვერ დაიპყრობო.

ნურავინ იუარებს: იქნებ ეს არ უთქვამსო.

აბა, სხვა რა მოტივით წააქეზებდა?!

დიდი მოურავის ამ ყოვლად მდაბალ საქციელს რომ ამართლებთ, იმას მაინც რატომ არ ითვალისწინებთ, რომ მეფის მოკვლა ქართლისათვის — და მთელი ჩვენი ქვეყნისათვის — ლახვრის ჩაცემას უდრიდა მორალურადაც და კიდევ უფრო ართულებდა ისედაც არეულ ყოფას, აღვივებდა ახალ შფოთსა და მძაფრ წინააღმდეგობებს, რადგან უმემკვიდრეოდ გადაგებული მეფის ტახტი ცარიელი ხომ ვერ დარჩებოდა.

მაგრამ საკაძისათვის ქვეყნის ინტერესები ამ შემთხვევაშიც არაფერს ნიშნავდა, მთავარია პირადი წყენა არ შეერჩინა. თანაც გზა გაიწმინდა ტახტისაკენ.

თუ ასე არ არის, მაშ რატომ წააქეზა შაჰ-აბასი?

„ამ შემთხვევაშიც“ იმიტომ ისე ბუნდოვნად და იოლად განგაჯათ, როგორც ამ სტატიაში იქცევით: „გიორგი საკაძეს კი არ აქვს ლუარსაბ მეფის სისხლში ხელი გახვრილი, ლუარსაბ მეფემ გატეხა ფიცი, გაშორდა საკაძის დას, დაარღვია კანონიწმინდა სახარებისა... მოსაკვდინებლად მიუგდო საკაძე შეთქმულ დიდგვაროვნებს და რა დიდი მოურავის ბრალია, თუკი მან შეხძლო, თავი დაეღწია. მეფე ლუარსაბს ხომ ჰქონდა უკვე მის სისხლში ხელი გასვრილი? ეს რატომ გვაეწყდება, რატომ არის ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი განწყობილება, ვიდრე ჭეშმარიტება?“

—ამ მსჯელობის მიხედვით, თქვენს მიერ დადგენილი ჭეშმარიტება ისაა, რომ ლუარსაბ II თურმე მოსაკლავი ყოფილა. თქვენ, როგორც პუბლიცისტი, სანქციას აძლევთ მის მკვლელობას. ეს პროლეტკულტელ პუბლიცისტებს ეიოლებოდათ მეფეებისათვის განაჩენის გამოტანა, მაგრამ ნუთუ დღესაც იგივე უნდა გრძელდებოდეს?

ვისაც სისხლი არ დაუღვრია, მას სწამებთ — მეფე ლუარსაბს ხომ ჰქონდა უკვე მის სისხლში ხელი გასვრილიო, ხოლო ვინც დიდო ეს ცოდვა, გინდათ როგორმე ჩამორეცხოთ — გიორგი საკაძეს კი არ აქვს ლუარსაბ მეფის სისხლში ხელი გასვრილიო...

ნამდვილად აქვს, ჩემო ბატონო ჯანსულ, ამას განწყობილება კი არა, ჭეშმარიტება ღაღადებს. მაშინ ეს არ დაფარულა („ქვეყანამ იცის, შენ იყავ მისის სისხლისა მღვრელია“ — მიმართავს თეიმურაზი საკაძეს იოსებ ტფილელის პოემაში), ჩვენს დროში კი თ. ნატროშვილმა მეცნიერული ძიებით გაარკვია საკაძის ბრალეულობა. თუკი თქვენ მის მტკიცებას არ იზიარებთ, საპირისპირო საბუთები უნდა მოიტანოთ, ასე სასხვათაშორისოდ კი არ უნდა მოიცილოთ თავიდან ეს ტრაგიკული და საქართველოს ისტორიაში დაუვიწყარი

ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა

ირგვლივ ატეხილი ჟნეტაობელეა არა ვრცელდებოდა. დავრიეცის „ისტორიის“ ქართული თარგმანის შესავალში კარლო კუცია აღნიშნავს ამ მატიანისეულ ცნობათა უეჭველ სანდოობას და დაბეჯითებით ირწმუნება, რომ მას საქართველოს შესახებ მასალის სიუხვის, ისტორიული მოვლენების ობიექტური გაშუქებისა და ქრონოლოგიის სიზუსტის თვალსაზრისით ვერ შეედრება XVII—XVIII საუკუნეთა ვერცერთი სხვა სომხური საისტორიო თხზულება. თვითონ კ. კუცია სანდო მკვლევარადაა აღიარებული სამეცნიერო წრეებში, ოღონდ ის აღარ დამიზუსტებია, საკაძის პირად მტერთა შთამომავლებს ეკუთვნის თუ არა.

რითია დაუჯერებელი დავრიეცის ის ცნობაც, რომ საკაძემ ურჩია შაჰს, ლუარსაბ მეფის და ითხოვე საცოლედ და შემდეგ დედაც გამოითხოვე ასულის მიზეზით. თუ ჩამოვლენ ისპაანს, მათი საშუალებით გაადვილდება ლუარსაბის მოტყუება და დალუპვა, ხოლო თუ არ დაგმორჩილდებიან, ეს იქნება მათ წინააღმდეგ გალაშქრების საბაბიო...

ანდა ეს: ზამთარში ლაშქრობას რომ ურჩევდა, ტყეში ხეების ფოთლები ჩამოცვენილი იქნება და მოლაშქრეებს გაუადვილდებათ ცხენებით სიარული და ქართველთა ქვეყანაში შესვლა, თანაც ქართველები, რომლებიც სიმაგრეებს, გამოქვაბულებსა და მიუვალ ადგილებს შეეხიზნებიან, ველარ გაუძლებენ სიცივის სიმკაცრეს, თოვლის სიუხვეს, შიშვლის სისასტიკესა და საჭირო ნივთების უქონლობას და იძულებულნი შეიქნებიან ბინებს დაუბრუნდნენ და მოთარეშეთა ხელში ჩაცვივდნენო. საგულისხმოა,რომ დავრიეცის ეს ცნობა ზუსტად იმეორებს ბერი ეგნატაშვილის უწყებას, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ გადმოცემის სანდოობას (მატიანეთა ეს შეხვედრა თქვენთვის უცნობი დარჩა).

დაუჯერებელი არა ჩანს არც ხომეხი მემატიანე არავითარ მიკერძოებას რომ არ იჩენს საკაძის მიმართ, იმითაც თვალსაჩინოა,რომ გულუხვად იმეტებს საქებარ ეპითეტებს („მოურავად დანიშნული ეს კაცი იყო ბრძენი სიტყვით, ძლიერი გონებით, გამოცდილი თავის საქმეში და აგრეთვე წარმოსადეგი, ძლიერ მამაცი, დიდი მებრძოლი და უძლეველი მეომარი“) და ამ პასაჟს ასე აბოლოვებს: „მისი გმირობა შემდეგაც მრავალ ადგილას იქნება მოხსენიებული და მის შესახებ ჭეშმარიტებას შეიტყოთ“. ამგვარი თვითრწმენა — სავსებით გაზიარებული მკვლევართა მიერ — მოწმობს, რომ იგი საგულდაგულოდ გამოძიებულსა და შეჯერებულ ცნობებს ეყრდნობოდა. მის მატიანეშიც ძალაუნებურად ამიტომ იკვეთება დიდი მოურავის გაორებული სახე, ისევე, როგორც ბერი ეგნატაშვილის, ვახუშტი ბატონიშვილის თუ პლატონ იოსელიანის ქართულ ქრონიკებში.

რაც რეალობაა, არც წარსულში დაფარულა და ვერც დღეს დაიმალება.

ამ რეალობას თქვენც კი ვერ წაუხვალთ და, მიუხედავად ნემსის ყუნწში გაძრომისა, მატიანეთა ცნობები ერთი წყება (რაც ხელს არ გაძლეგდათ) საკაძის მტრების გავლენისათვის გადაგებრალებინათ, — უმთავრესი ვერაფრისდიდებით ვერ უარყავით: გიორგი საკაძე ქართლ-კახეთის ამოსრებელ ყიზილბაშთა ლაშქარშია.

მონოგრაფიაში ცდილობთ მისი საქციელი შარბილოთ, რაღაც გამართლებისმაგვარი მოუძებნოთ: შაჰ-აბასი ისედაც აპირებდა ქართლ-კახეთის დალაშქვას, თორემ ეს გეგმები რომ არ ჰქონოდა, საკაძე როგორ აიყოლიებდაო; მართებულ რჩევებს ამიტომ აძლევდა, შაჰს თავისი ერთგული ჭონებოდაო; ლაშქრობისას მხოლოდ უმნიშვნელო როლი შეასრულაო...

თქვენვე გრძნობთ, ამ ამბავის მეტისმეტ სიმყიფეს, რასაც გაბმულებაც სახელდახელოდაც არავის გაუძნელდება (რასაკვირველია, შაჰს ასეთი განზრახვა რომ არ ჰქონოდა, ვერავინ აიყოლიებდა, მაგრამ საკაძის ბრალი ის არის, რომ ხელი შეუწყო ქართლ-კახეთის აოსრებაში; უსწოროს რომ ვერაფერს ურჩევდა და სხვაზე მეტი მონდომება უნდა გამოეჩინა, რათა ეჭვი არავის გასჩენოდა, სწორედ ეს არის რენეგატის ბედის კანონზომიერება; ან უმნიშვნელო როლი რანაირად ითამაშა — ყიზილბაშებისათვის რჩევა-დარიგებანი არ მოუკლია და, ვინ იცის კიდევ რას სჩადიოდა შაჰის დავალებათა პირნათლად შესრულებისათვის, რა მიხვედრა უნდა, რომ კატოფილის სათლელად თუ წყლის მზიდავად არ ეყოლებოდათ ლაშქარში) და გავრცობილ მსჯელობენ იმ აღიარებით ამთავრებთ, რომ:

„უნდა ვივარაუდოთ,რომ გიორგი საკაძემ მართლაც შესთავაზა შაჰ აბასს ქართლისა და კახეთის დაპყრობა. ალბათ, უფრო ქართლისა, რამდენადაც მას წიააღმდეგობა სწორედ ქართლის მეფესთან ექონდა. პოლიტიკა მოითხოვდა ასე“.

კიდევ —

„... საკაძის თხოვნა და შაჰის განზრახვა მხოლოდ გარეგნულად ემთხვევა ერთმანეთს. ქართლში შაჰ აბასის ჯარი უნდა შემოვიდეს, მაგრამ საკაძის აზრით, ლუარსაბისა და პოლიტიკური მტრების გასადევნად, შაჰის მიზანი ქართლ-კახეთის აყრაა... საკაძეს შაჰი ქართლში ძალთა გადასაჯგუფებლად, მოქიშპე დიდგვაროვნებისა და ლუარსან II დასაშარცხებლად სჭირდებოდა. მაგრამ იყო კი ეს ნაბიჯი მძიმე შეცდომა? უნდა ეცადა ? თუ არა მსგავსი რამ მოურავს? ცხადია, უნდა ეცადა“.

და კიდევ —

„... საკაძის გეგმა — შაჰის ძალებით სასურველი მეფის დასმა — ... ...

თქვენთვის ეს გადამწყვეტი საბუთებია, რაც უეჭველად ამართლებს საკაძის დგომას შაჰის გვერდით ყიზილბაშთა ლაშქარში.

თურმე საკაძეს ჭონებია, შაჰ-აბასი ჩემი პირადი მტრების გასანადგურებლად შემოეწყო ქართლ-კახეთსო, და მოულოდნელი აღმოჩენილა მისთვის ის სისასტიკე და გაუგონარი უბედურება, რაც ყიზილბაშებმა დაატრიალეს.

ისე წერთ, შაჰს ქართლის დაპყრობას პირდებოდა და არა კახეთისას და იმას თუ კახეთის აყრა განეზრახა, საიდან უნდა სცოდნოდაო, თითქოს ქართლი გასამეტებელი იყოს!...

როცა შენი სამშობლოს მტრებს შემოუძღვები, ის რომ განურჩევლად დაერევა ყველასა და ყველაფერს, განა ძნელი გასათვალისწინებელია?

კაცი ან გონებასუსტი უნდა იყოს, ანდა შურისგებისაგან დაბრმავებული, ეს რომ ვერ წარმოიდგინოს.

განა გიორგი საკაძემ არ იცოდა, რომ მისი გეგმა — მეფის დამხობა და მოქიშპე დიდებულთა დათრგუნვა — უსისხლოდ ვერ განხორციელდებოდა? ტურისტებს ხომ არ მოუძღოდა გიდად.

„შაჰის ძალებით სასურველი მეფის დასმას“ როგორ იოლად ამბობთ.

ეს ლუმპენპროლეტარები და ბოლშევიკები იგდებდნენ საცილად მეფის სახელს და მათფვის არ წარმოადგენდა არაფერს მეფის გადგება-გადმოგდება, თორემ მეფობა ღვთისგანაა კურთხეული, ლუარსაბიც ღვთით განაგებდა სამფლობელოს, კანონიერი ხელისუფალი იყო და, ქვეყნის აოხრების გარეშეც რომ ჩამოეგდოთ ტახტიდან, ესეც გაუგონარი ცოდვა იქნებოდა ღვთისა და ერის წინაშე, ეროვნული სიწმინდის შკრეხელური ხელყოფა.

თურმე რაკიღა საკაძეს არ მოსწონს, მისი იმედები „ვერ გაამართლა“, არც უნდა იმეფოს.

(დასასრული იქნება)

მიზანი არ ამართლებს საშუალებას!

ერთი ცნობილი ხენტენციის პარაფრაზით უნდა დავიწყო: გაზეთმა „იბერია-სპექტრმა“ ვერც ვერაფერი დაივიწყა და ვერც ვერაფერი ისწავლა.

რა ვერ დაივიწყა და ვერ ისწავლა ამ გაზეთმა?

მოგახსენებთ.

შარშან, 11—17 ივნისის ნომერში „იბერია-სპექტრმა“ გამოაქვეყნა „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის“ ტორეზ კულუმბეკოვის „მიმართვა ჰელსინკის ჯგუფის თავმჯდომარის ჰეინო რენტალისადმი“.

რა „მარგალიტები“ არ იფრქვეოდა ამ „სა-უცხოო“ მასალიდან: საქართველოს პრეტენზიებს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის მიმართ არავითარი ისტორიული და იურიდიული საფუძველი არ გაჩნიაო... სახეზეა მცირე იმპერიის, საქართველოს მცდელობა სამხრეთ ოსეთის კიდევ ერთხელ ანექსიისა და ოკუპაციისო... ოსეთი არასოდეს შედიოდა საქართველოს შემადგენლობაშიო... ოსები საქართველოში დისკრიმინაციას განიცდიდნენ, უხურავდნენ ოსურ სკოლებს, უცვლიდნენ ანბანს, საქმის წარმოებას ქართულ ენაზე აიძულებდნენ, დღეს კი, საერთოდ, სიცოცხლის უფლებას არომეევნო და ა.შ. და ა.შ.

* * *

ამ „მარგალიტებთან“ დაკავშირებით გაზეთ „საქართველოს“ 19—25 იანვრის ნომერში ვწერდი: გასაგებია, რომ კულუმბეკოვი თავის საქმეს აკეთებს, მაგრამ ვის საქმეს აკეთებს გაზეთი „იბერია-სპექტრი“ ამ მასალის დაბეჭდვით? და არა უბრალოდ დაბეჭდვით — ყოველგვარი კომენტარის, ჯამათის გარეშე დაბეჭდვით!

„ღირდა, ვითომ-შევნიშნავდი მაშინ, — „იბერია სპექტრის“ პატივცემული რედაქციავ, კულუმბეკოვის დეზინფორმაციული წერილის დაბეჭდვა მხოლოდ იმიტომ, რომ მასში ბატონ შევარდნაძესაც და სახელმწიფო საბჭოსაც „ხვდებათ?!“

* * *

მე კი შევნიშნავდი, მაგრამ ვინ შეინიშნა? იმის დასტურად, ბურბონებივით არც არაფერს ვივიწყებთ და არც არაფერს ვსწავლობთო, ამა წლის 16—22 თებერვლის ნომერში რუბრიკით „დასავლეთში ფართოვდება ე. შევარდნაძის კრიტიკა“, კულუმბეკოვის აღნიშნული მიმართვის ტყუპისცალი მასალა-“გაეროში გაუწევრიანებელი ერების ორგანიზაციის III გენერალური ასამბლეის რეზოლუცია აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ“ — დაბეჭდეს.

როგორც იტყვიან, შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს, რომ ეს რეზოლუცია აფხაზური მიმართვის, აფხაზური „ვერსიის“ საფუძველზეა შედგენილი.

ბავად განსაჯეთ:

რეზოლუციის მიხედვით—

„საქართველოს სამხედრო ნაწილების შეყვანას აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე თან მოჰყვა უამრავი მსხვერპლი, ასი ათასობით ლტოლვილი, **აფხაზი ერის სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლების განადგურება** (ხაზგასმა აქაც და შემდეგაც ჩემია. — ფ.კ.). საქართველოს არმიის სამხედრო პირები სისტემატურად იყენებენ ძალადობას მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ, დევნიან ხალხს მათი ეროვნული, რელიგიური და პოლიტიკური შეხედულებების გამო: ქართული მხარე იყენებს მასიური განადგურების იარაღს, რომელიც აკრძალულია საერთაშორისო კონფერენციებით და უპირველეს ყოვლისა მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ არის გამოყენებული... ასამბლეის მონაწილენი გამოხატავენ შეშფოთებას იმის გამო, რომ საქართველოს ხელისუფლებისათვის წესად იქცა საერთაშორისო ურთიერთობათა **პრობლემების** ძალისმიერი მეთოდებით გადაჭრა, რისი დადასტურებაცაა დამანგრეველი სამხედრო ქმედებები აფხაზეთისა და ოსეთის ყოფილ **ავტონომიებში და მთელ საქართველოში** (სქართველოს შიგნითაც)... ასამბლეა იძულებულია განაცხადოს, რომ საქართველოს მთავრობის პოლიტიკა მიმართულია იქითკენ, რომ **ჩაახშოს მეზობელი პატარა ერების უფლებები და შეზღუდოს მათი თავისუფლება, რაც დიდად აფერხებს ყოფილ საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე მიმდინარე დემოკრატიული პროცესების განვითარებას.** გაეროში გაუწევრიანებელი ორგანიზაცია... მოუწოდებს დაუყოვნებლივ (საქართველოს) შეწყდეს სამხედრო ოპერაციები, გამოყვანილ იქნან საქართველოს ჯარები აფხაზეთის ტერიტორიიდან და მკაცრად იყოს დაცული ერების **თავისუფლებისა და თვითგამორკვევის** ძირითადი **პრინციპები**“.

როგორც ვხედავთ, რეზოლუცია შედგენილია „ჩემი შენ გითხარი“ — ს პრინციპით. უხერხულად მიმაჩნია, დავდგე და ხერიოზულად გამტკიცო (ვის გუმტკიცო, ქართველ მკითხველს თუ „იბერია-სპექტრს“?!), რომ ლტოლვილთა უმრავლესობას ქართველები წარმოადგენენ, რომ ქართველი და არა აფხაზი ერის სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლები ნადგურება აფხაზეთის ტერიტორიაზე, რომ ქართულ-აფხაზურ, ქართულ-ოსურ ურთიერთობათა პრობლემები საერთაშორისო ურთიერთობათა კი არა, საქართველოს შინაური პრობლემებს წარმოადენს, რომ აფხაზები და ოსები საქართველოს მეზობელი ერები კი არა, საქართველოში შემავალი ერებია, რომ „ყოფილ საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე(?) მიმდინარე დემოკრატიულიპროცესების(?)განვითარება“ არაფერს შუაშია, რომ „ერების თავისუფლება და თვითგამორკვევა“ სხვა ერების ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს?!

* * *

ახლა, მოდით და პატიოსნად ვთქვათ, სადაც სამართალია,ამგვარი კითხვა-კომენტარები არ უნდა დაერთო ქართულ გაზეთს ამ „მართალი“ რეზოლუციისათვის?!

ძნელი იყო?!

ძნელი როგორ იყო! უბრალოდ, სურვილი არ იყო! უფრო ზუსტად, იყო სურვილი, ეჩვენებინათ, რომ „დასავლეთში ფართოვდება ე.შევარდნაძის კრიტიკა“. მართალია, ამ „კრიტიკას“, ნაბანი წყლისა და ბავშვისა არ იყოს, **საქართველო გადააყოლეს**, მაგრამ, როგორც ცნობილია, — (ზოგისთვის) **მიზანი ამართლებს საშუალებას!**

* * *

„იბერია-სპექტრისადმი“ ჩემი შარშანდელი მიმართვის პარაფრაზით უნდა დავამთავრო:

ღირდა, ვითომ, „იბერია-სპექტრის“ პატივცემულო რედაქციავ, ასამბლეის დეზინფორმაციული რეზოლუციის კომენტარის გარეშე დაბეჭდვა მხოლოდ იმიტომ, რომ მასში ბ-ნ შევარდნაძესა და მის მთავრობასაც „ხვდებათ“?!

არა მგონია, თქვენი ამ არცთუ ხასარგებლო (რბილად ვამბობ) პუბლიკაციით კმაყოფილნი დარჩნენ, მოგიწონონ იგი თუნდაც ბ-ნ შევარდნაძისა და მისი მთავრობის მოწინააღმდეგეებმა, ცხადია, ქართველებს ვგულისხმობ...

ფელიქს კოტიაშვილი

ვცვლი

ოთხოთახიან ბინას
ვარკეთილი — 3,
1 მიკრორაიონიდან
ქალაქის ნებისმიერ რაიონში.
მასივებს ნუ შემოგვთავაზებთ,
გარდა დიღმის მასივისა

ტელ. 93—18—41

ქ. თბილისის, ნაძალადევის რაიონის რეგიონული სახალხო ფრონტის

განცხადება

1993 წლის 24 თებერვალს ჩატარდება საქართველოს სახალხო ფრონტის ნაძალადევისა და გლდანის რაიონების რეგიონული ორგანიზაციების წევრთა შეკრება.

დღის წესრიგი:

საქართველოს სახალხო ფრონტის III ყრილობის დელეგატთა არჩევნები ნაძალადევისა და გლდანის რაიონებიდან.

დასაწყისი: 15 საათზე.

მისამართი:
ქ. თბილისი, ბუაკინის ქუჩა № 57,
ვეფრე სარეთელი

საქართველოს სახალხო ფრონტის განცხადება

1993 წლის 27—28 თებერვალს ჩატარდება საქართველოს სახალხო ფრონტის III ყრილობა.

რეგიონული სახალხო ფრონტის თავმჯდომარეებმა 1993 წლის 20 თებერვლამდე წარმოადგინონ ყრილობის დელეგატთა სია.

ყრილობამდე ყოველი კვირის პარასკევს ეირველ სათზე გაიმართება დარბაზის სხდომები.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო
თენგიზ გოგოტიშვილი
ვახტანგ კოპალიანი
ფელიქს კოტიაშვილი
კობა ლიკლიკაძე
ვიხო მოსულიშვილი
სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, კუბინის ქ. 5
ტელ.:
რედაქტორი: 93-20-36.
მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კომბინატში, ხოფარაულის 29.

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის
ინდექსი 66447

ფასი
10 მან.

ავტორებს ვთხოვთ ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის მასალას ნუ შემოგვთავაზებენ.